რსფსრ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და მოსკოვის საბჭოს ორგანო

მეზუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომპარტიის ცენტრალური კ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ.აღმასკომის ორგანო

რედაქცია თბილისი, რუსთაველის პრ. №№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმის ვადის მოლაპარაკება შეიძლება პუ.ველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს. ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა თბილისი, რუსთაველის პრ. №№ 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: თვე-ში-ორასმან. 75 კ.ით დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმოწერი მიიღებენ „ჩირაღდანში“ და „მეცნიერება და ტექნიკაში“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ს. ს. ს. რ. [illegible] საინფორმაციო [illegible]

დღის პოლიტიკა

— ამხ. ჩიჩერინი ბერლინიდან მოსკოვს გაემართა.
— დენიკინზედ ჩაეშვა იაპონიის [illegible]
— ივლისის პირველ რიცხვებში [illegible] იაპონიის საბაჭოს დელეგაციის [illegible]
— საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა იწახულა საბჭოთა კავშირის პავილიონი პარიზის გამოფენაზე.
— ერევანში არაჩვეულებრივი წყალდიდობა მოხდა.
— ახლო ხანში გამოქვეყნდება ახალი ვ დ ნ მანუთიანები.

შაბათი, 27 ივნისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 145 (1300)

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა

სასოფლო მეურნეობის აღორძინების დარგში საკმაოდ დიდი შედეგებია მიღწეული. დათესილ სიერცის ბრე და სასოფლო მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა თანდათან უახლოვდება ომის წინანდელ დონეს.

მშრომელ გლეხობისათვის მიწის გადაცემამ, მორწყვისა და აგრონომიულ ცოდნის გავრცელების დარგში წარმოებულ მუშაობამ და სხვა სათანადო ღონისძიებებმა ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაყოფი გამოიღო.

მაგრამ მიღწეული შედეგებით, რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ შეიძლება დაკმაყოფილდეთ. ომამდე არსებულ დონესთან გათანაბრება, რაზედაც ამ რამოდენიმე წლის წინედ ვოცნებობდით, ამჟამად ძალიან ვიწრო ამოცანად გვეჩვენება. ჩვენ დღეს გაცილებით უფრო ფართე მიზნებს ვისახავთ. და მათ განსახორციელებლად იქმნება რეალური პირობები, ტარდება საჭირო ღონისძიებანი.

ამ პირველ რიგში უნდა დავაყენოთ სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის საკითხი. მუშა - საქონლის და თანამედროვე სამეურნეო იარაღების სიმცირე ჩვენში მეტად საგრძნობია. გლეხობას საკმაოდ დიდი პროცენტი მოკლებულია ასეთებს. ამგვარ პირობებში შეუძლებელია ლაპარაკი გლეხური მეურნეობის შემდგომი ვაფაოთოებაა-ალორძინებაზე.

ამიტომაცაა, რომ გლეხობაში უკანასკნელ დროს დიდი მოთხოვნილებაა სამეურნეო იარაღებზე, მას სურს მამა-პაპური თოხი და ბარი წარსულს ჩააბაროს და ტეხნიკის ახალი მიღწევები გამოიყენოს. სათანადო ორგანოები შეძლებისდაგვარად კიდეც სცდილობენ ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ რთული და ძვირი მანქანების მასსიურ გავრცელებასთან ერთად, რაც ხანგრძლივ დროს და დიდ სეწუალებებს მოითხოვს, ჩვენ უნდა მივიღოთ ზომები, რათა გლეხობა არ დარჩეს იმ უბრალო იარაღების გარეშე, რომლებითაც მას დღემდე მეტ წილად გაჰქონდა თავი. ამისათვის სოფლად შესაფერ სახელოსნოების მოწყობას უნდა მიექცეს ყურადღება. ეს საქმე უნდა აკისრონ უმთავრესად გლეხკომებმა.

მაგრამ, თავის თავად ცხადია, გლეხობა შესძლებს თავის მეურნეობის საგრძნობლად გაუმჯობესებას, ნაკლები ოფლის დაღვრით მეტი ღირებულების შექმნას მხოლოდ მაშინ, როცა მის განკარგულებაში იქნებიან ტრაქტორები და სხვა თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

ამ მიმართულებით, როგორც ცნობილია, მუშაობა კარგა ხანია სწარმოებს. გაზეთის დღევანდელ №-შიც წაწყდება მკითხველი ცნობას, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკმა ამას წინედ მიიღო გერმანიიდან გუთნების ახალი პარტია—850 ცალი. ეს გუთნები უკვე დაეგზავნათ საკრედიტო ამხანაგობებს, რომელნიც მათ გაანაწილებენ გლეხებს შორის. ამ დღეებში ბანკი მიიღებს ავრეთვე სხვადასხვა მანქანების საკმაოდ მნიშვნელოვან რაოდენობას. ამას გარდა მოგვეპოვება 12-მდე ტრაქტორი.

არსებულ საჭიროებასა და მოთხოვნილებასთან შედარებით, ყველაფერი ეს ცოტაა, რა თქმა უნდა, მაგრამ მთავარია ის, რომ გლეხობაში გაღვიძებულია შეგნება ამ მანქანების მნიშვნელობის და იგი არაფერს იშურებს მათ შესაძენად; ამასთან მთავრობას და სათანადო ორგანიზაციებს ერთ-ერთ მთავარ სადღეისო ამოცანად აქვთ დასახული სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღების მიწოდების გაცილებით უფრო ფართედ დაყენება.

აქ ყურადღება უნდა მიექცეს ამ დარგში რესპუბლიკისათვის მთლიანი გეგმის გამომუშავებას, ადგილების საჭიროებათა გამორკვევას და სამეურნეო იარაღების შეძენა მოხმარების საქმის მიზანშეწონილ ორგანიზაციას. შემთხვევითი მუშაობას, სხვადასხვა ორგანოების განცალკევებულ, შეუთანხმებელ საქმიანობას ადგილი არ უნდა ექნეს.

უაღრესი მნიშვნელობა აქვს თვით გლეხების კოოპერატიულ შეკავშირებას, მათ მიერ ამხანაგობების შექმნას სამეურნეო იარაღების კოლექტიურად შეძენა-გამოყენების მიზნით. საკრედიტო-სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა და გლეხკომებმა მშრომელი გლეხობა უნდა ჩააბან ამ საქმეში. ამისთან ჩვენ დახმარებას გაუწევთ იმ ცალკე მეურნეებსაც, რომელნიც დამოუკიდებლად მოინდომებენ იარაღების შესყიდვას თავის მეურნეობათა ასაღორძინებლად. მაგრამ პირველ ყოვლისა ჩვენ დავაკმაყოფილებთ ამხანაგობებში გაერთიანებულ გლეხობას.

ეს შეკავშირება ღარიბ და საშუალო გლეხობას თავს დააღწევინებს სოფლის შეძლებულ ელემენტების ეკონომიურ გავლენისაგან. საერთო ძალლონით და მთავრობის დახმარებით მშრომელი გლეხობა შესძლებს ტეხნიკურ გაუმჯობესებათა შეტანას თავის მეურნეობაში და მის შემდგომ განვითარებას. ამასთან მანქანების კოოპერატიული შეძენა და მათი საერთო გამოყენება გლეხობაში გააძლიერებს კოლექტიურ მიდრეკილებას, ხელს შეუწყობს სოფლის საწარმოო ძალების მოქცევას სოციალისტურ მშენებლობის კალაპოტში.

ამიტომ, სოფლად ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა—თანამედროვე სამეურნეო იარაღების მიწოდება პირველ ყოვლისა ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის და ამ საქმის მოგვარება ამ გლეხობის კოოპერატიულ გაერთიანების ნიადაგზე.

ბრძოლა ეროვნული განთავისუფლებისათვის ჩინეთში

ანტიიმპერიალისტური მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს

ცნობები კანტონში მომხდარ სისხლის ღვრის შესახებ

ინგლისის პროფკავშირთა საბჭო და მუშათა პარტიის აღმასკომი ჩინეთის ამბების შესახებ

მდგომარეობა შანხაიში

პეკინი, 25 ივნისი. მუშკდნის ჯარების სარდლობა, რომელიც შანხაიში იმყოფება, სერიოზულ ზომებს იღებს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ჩინელები სცხოვრობენ.

მთავარი ქუჩების და შესახვევების დამცველთა რაზმი გაძლიერებულია. ყველა გზა ჯვარედინებზე დადგმულია ტყვიამფრქვევ ელები და გაძლიერებულია პატრულები. ჯარისკაცები ჩხრეკენ ქუჩებზე გამვლელთ.

მიუხედავად ამ ღონისძიებისა, საგანგებო მოძრაობა მაინც ფართოვდება: წყალსადენზე მომუშავე ჩინელებმა შეუერთდნენ გაფიცულებს.

მოძრაობა ფართე ხასიათს იღებს

პეკინი, 25 ივნისი. იტყობინებიან რომ მოძრაობა გადავიდა ახალ ქალაქებში.

მეტად გამწვავებული მდგომარეობაა ვუხაში, ნინჯპოში, სვატოუში, ეომოიში, ხოიხოუში, (პროვინცია გუან-დუნის კუნძული).

ყველა ნავთსადგურებს იცავენ უცხოელთა გემებს.

მდგომარეობა კანტონში

პეკინი, 25 ივნისი. დღემდე არავითარი ცნობები არ არის მიღებული უშუალოდ კანტონიდან.

იუწყებიან, რომ 23 ივნისს გამართული დემონსტრაციის წინ, ინგლისის კონსულმა ასეთი ნოტა გაუგზავნა კანტონის მთავრობის გარეშე საქმეთა მინისტრს: „ყოველგვარ ცდას დემონსტრანტების მხრივ შეიჭრან ინგლისის კონცესიის ტერიტორიაზე უცხოელთა უბანში, შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაუწევენ. თუ მოხდება სისხლის ღვრა, დღე პასუხისმგებლობა ამისათვის დაეკისროს იმათ, ვინც ხალხს ფსიქოლოგიაზე მოქმედობს. ეწერ ამას სერიოზულათ, რათა შემდეგ არავინ თქვას რომ სისხლისმსმელმა იმპერიალისტებმა დახვრიტეს უიარაღო ჩინელი ამაგალაზრდები“-ო.

ბოლშევიკური ოცნიცრები ელანდებათ

პეკინი, 25 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება: „კანტონის საბჭოს კომისარმა ედვარდმ, რომელიც გონკონგში ჩამოვიდა, პრეასის წარმომადგენლებთან საუბარის დროს განაცხადა: „23 ივნისს დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდნენ კადეტები, ვამპუს (სამხედრო) სკოლა, მეიარაღებული თოფებით და ტყვიის მფრქვეველებით. კადეტებს ხელმძღვანელობდნენ რუსი ოფიცრები. უცხოელთა უბანში გაიგონეს, რომ რუსმა ოფიცერმა ბრძანება გასცა ესროლათ და კადეტებმა სროლა ასტეხესო“ **საფრანგეთის ნაღმოსანი „ალჟერიდან“ დემონსტრანტებს ტყვიამფრქვეველებიდან ესროლეს და მრავალი მათგანი იქნა დაჭრილი.**

ინგლისელი მოსამსახურეები გარბიან

პეკინი, 25 ივნისი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისელები—კანტონ-ჰანკოუს რკინიგზის ხაზის მოსამსახურეები—გარბიან გონკონგში.

შანხაიდან ჩამოსული რუსი თეთრგვარდიელები გონკონგის კაფეტრესტორანებში გაფიცულ ჩინელ მოსამსახურეების ნაცვლად მუშაობენ.

საფრანგეთის პოლიცია სდევნის ჩინელებს

პარიზი, 25 ივნისი, საფრანგეთის პოლიციამ, რომელმაც მოახდინა ძლიერი ჩხრეკა პარიზში და მის მიდამოებში, გადაასახლა მრავალი ჩინელი, რომელთა შორის თითქოს შედის მეთაური გომინდანის პარტიის სექციის, რომელსაც ბურჟუაზიული პრესა განზრახ ურევს კომუნისტურ ორგანიზაციაში.

„უქაბნოს“ მოძრაობის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 25 ივნისი. „იუნაიტედ პრეს“ შანხაიდან იუწყება: ამერიკის საზოგადოებამ ჩინეთში“ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც წინადადებას აძლევ შეერთებული შტატების მთავრობას ითანამშრომლოს სხვა სახელმწიფოებთან და ენერგიული პოლიტიკა აწარმოოს ჩინეთის მიმართ, რათა ჩინეთის მთავრობამ შეიძლოს ნორმალური ფორმების მიღება ურთიერთობისა ამ ქვეყნებთან.

ამსტერდამის ინტერნაციონალს ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება

ბერლინი, 25 ივნისი. ამსტერდამის ინტერნაციონალმა დაადასტურა მუშათა დახმარების საერთაშორისო კომიტეტისაგან დეპეშით მიღებული წინადადება გაერთიანებული მოქმედების შესახებ ჩინეთის ამბების გამო.

სათანადო გადაწყვეტილება ამ საკითხის შესახებ მიღებული იქნება ამსტერდამის ინტერნაციონალის პრეზიდიუმის სხდომაზე 23 ივნისს.

იმპერიალისტური პლიტიკის წინააღმდეგ

ლონდონი, 25 ივნისი. 25 ივნისს შემდგარ ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩინეთში მღელვარების დაწყების მთავარი მიზეზი იყო მუშათა საშინელი პირობები საფეიქრო წარმოებებში.

რეზოლიუცია მოითხოვს დაუყოვნებლივ მიღებული იქნეს ზომები ჩინელი მუშების შრომის პირობების გასაუმჯობესებლათ და, სხვათა შორის, აცხადებს: **„ექსტერიტორიალობა, რომელსაც იცავენ ხიშტებით, ხაშიშოა; მან შეიძლება გამოიწვიოს ახალი მღელვარება. ის რაც შეიძლება ჩქარა უნდა იქნეს გაუქმებული“.**

რას ჩმახავენ საბჭოთა კავშირის მტრები

სიმართლე არ მოეწონათ

ლონდონი, 25 ივნისი. ლიბერალური გაზეთი „მანჩესტერ გარდიენი“, ინგლისის წარმომადგენლის ხოჯასონის განცხადების გამო საქართველოს მდგომარეობის შესახებ (განცხადება დაბეჭდილია „იზვესტიაში“) წინადადებას აძლევს მთავრობას გამოაქვეყნოს თავისი აზრი ხოჯასონის განცხადების შესახებ და განმარტოს, რა საბუთით მიესალმა ხოჯასონი საბჭოთა ხელისუფლების „მოღალეწეობას“.

მორიგი ჭორი

ლონდონი, 25 ივნისი კონსერვატიული გაზეთის „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიური კორესპონდენტი სწერს, რომ ლონდონში უკანასკნელ ხანებში მიღებულია ცნობა, რომლის თანახმად ავღანისტანსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებულია ახალი ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების ძალით საბჭოთა კავშირი ავღანისტანს ყოველწლიურად მისცემს 1,200 ათასი ფუნტ სტერლინგის ოდენობით სუბსიდიას.

პროფ. მურრეის „ბრძნული“ დასკვნები

ლონდონი, 25 ივნისი. პროფესორი ჯილბერტ მურრეი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა ერთა ლიგის კლუბის გენერალურ საბჭოს სხდომაზე ლივერპულში, შეეხო ტაისი ს ცნობას ბერლინიდან იმის შესახებ, რომ თუ გერმანია შევა ერთა ლიგაში და ხელს მოაწერს საგარანტიო ხელშეკრულებას, მაშინ საბჭოთა კავშირი, რომელსაც არ სურს განცალკევებულად დარჩენა, გადასდგამს ნაბიჯებს ლიგაში თავისი მეთვალყურის გასაგზავნათ.

ამის გამო მურრეიმ განაცხადა: „არავის არა აქვს საფუძველი იფიქროს, რომ რუსეთი გამოსთქვამს სურვილს ერთა ლიგაში შესვლის შესახებ. რუსეთს რომ ასეთი სურვილი ეგონოს, იმაზე ცოდნით ხელმძღვანელობით, რომელმაც გააფრთხილა ის სოფიაში მომხდარ აფეთქების შესახებ, რომ ახლო მომავალში სპარსეთში უნდა დაიწყოს მოძრაობა მთავრობის და უცხო სახელმწიფოების, განსაკუთრებით ინგლისის, გავლენის წინააღმდეგ.

პროფ. მურრეის „ბრძნული“ დასკვნები

ლონდონი, 25 ივნისი. პროფესორი ჯილბერტ მურრეი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა ერთა ლიგის კლუბის გენერალურ საბჭოს სხდომაზე ლივერპულში, შეეხო ტაისი ს ცნობას ბერლინიდან იმის შესახებ, რომ თუ გერმანია შევა ერთა ლიგაში და ხელს მოაწერს საგარანტიო ხელშეკრულებას, მაშინ საბჭოთა კავშირი, რომელსაც არ სურს განცალკევებულად დარჩენა, გადასდგამს ნაბიჯებს ლიგაში თავისი მეთვალყურის გასაგზავნათ.

ამის გამო მურრეიმ განაცხადა: „არავის არა აქვს საფუძველი იფიქროს, რომ რუსეთი გამოსთქვამს სურვილს ერთა ლიგაში შესვლის შესახებ. რუსეთს რომ ასეთი სურვილი ეგონოს, იმაზე ცოდნით ხელმძღვანელობით, რომელმაც გააფრთხილა ის სოფიაში მომხდარ აფეთქების შესახებ, რომ ახლო მომავალში სპარსეთში უნდა დაიწყოს მოძრაობა მთავრობის და უცხო სახელმწიფოების, განსაკუთრებით ინგლისის, გავლენის წინააღმდეგ.

პროტ. პორტმანის „ალმოჩენა“

პარიზი, 25 ივნისი. პროფესორმა პორტმანმა ბორდოში 2 ათასი მსმენელის წინაშე გააკეთა მოხსენება საბჭოთა კავშირში სამკურნალო და უნივერსიტეტის საქმის დაყენების შესახებ.

პორტმანმა აღნიშნა საბჭოთა კავშირის დიდი მეცნიერება ქვეყნის აღსადგენად, რაც, მომხსენებლის აზრით, ამტკიცებს იმას, რომ „ადგილი აქვს საბჭოთა კავშირის სტაბილიზაციას და მის დაშორებას კომუნიზმის პრინციპებისაგან“.

საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა

საუბარი საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის თავმჯდომარესთან

მოსკოვი, 26 ივნისი. „როსტას“ თანამშრომელთან საუბრის დროს საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკის თავმჯდომარემ **ტარატუტამ** განაცხადა:

„უკანასკნელ ჩემ მოგზაურობას საზღვარგარეთ მიზნათ ჰქონდა მოლაპარაკების წარმოება საფრანგეთში ჩვენი ბანკის მოსაწყობათ:

„ბანკ დე ფრანს“-მა, რომელსაც აქვს გადამწყვეტი გავლენა საფრანგეთის ყველა ბანკებზე, მოიწონა საფრანგეთში ჩვენი ბანკის გახსნის გეგმა და აღუთქვა მას თავისი დახმარება. ასევე თანაგრძნობით მოეპყრენ ამ გეგმას სხვა ბანკებიც. მაგრამ ერიოს მთავრობის შეცვლის და პენლევეს კაბინეტის შედგენის შემდეგ საკითხი საფრანგეთში საბჭოთა ბანკის დაარსების შესახებ გადაიცა განსახილველად საუფლებათაშორისო კომისიას, რომელმაც საკითხი უარჰყო.

ამ კომისიის თავმჯდომარე დემოზი ირწმუნებოდა, რომ ის თავის მხრივ მზადაა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს საფრანგეთში საბჭოთა ბანკის მოწყობას, მაგრამ მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც მოწესრიგებული იქნება საკითხი მეფის ვალების შესახებ. ამავე დროს ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობის სავაჭრო ოპერაციების განსავითარებლად ჩვენთვის მაინც საჭირო იყო საფრანგეთში რაიმე საბანკო აპარატის მოწყობა. ამ მიზნით ჩვენ სამრეწველო ბანკის დელეგაციასთან ერთად, რომელიც იმ დროს პარიზში იმყოფებოდა, შეუთანხმდით პარიზის ერთ-ერთ ბანკს, რამაც საშუალება მოგვცა დაგვეარსებია პარიზში ჩვენი საკუთარი საბანკო აპარატი.

მართალია ბანკი პატარაა, მაგრამ იგი მაინც ხელსაყრელი საშუალება ჩვენი საბანკო ოპერაციების საწარმოებლად. იმისდამიხედვით, თუ რამდენად განვითარდება საავაჭრო ურთიერთობა საფრანგეთთან ჩვენ შეესძლებთ ამ პატარა საბანკო აპარატის გაფართოებას“.

საფრანგეთის პრეზიდენტმა იწახულა საბჭოთა პავილიონი

პარიზი, 25 ივნისი. საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა ინახულა საბჭოთა პავილიონი პარიზის გამოფენაზე. პრეზიდენტს შეხვდა დავთიანი, რომელიც კრასინის მოადგილეთ ითვლება. **დუმერგმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ხალხთა სამხატვრო მრეწველობისადმი.**

ოქი მარკოკოში

მუშათა მთლიანობის დემონსტრაცია

პარიზი, 25 ივნისი. მოქმედების კომიტეტმა, რომელიც მიზნად ისახავს ბრძოლას მარკოს ომის წინა ღმდეგ, მოიწვია **საინფორმაციო კრება**, რომელსაც დაესწრო 1,200 აქტიური კომუნისტი, რეფორმისტები, სოციალისტები და უპარტიოები.

ეს კრება, რომელმაც გააერთიანა კომპარტიის დელეგატები, 84 სოციალისტი დელეგატი, 96 დელეგატი რეფორმისტურ პროფკავშირებისაგან და უპარტიოების 130 დელეგატი, წარმოადგენდა მუშათა მთლიანობის მნიშვნელოვან დემონსტრაციას.

„საბოლოოდ გამოსარკვევად“.

პარიზი, 25 ივნისი. „ჰავასის“ სააგენტოს ცნობით საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის აღმასკომი იწვევს 12 ივლისისათვის პარტიის ნაციონალურ საბჭოს. მთავრობის მიმართ სოციალისტების პოზიციის საბოლოოდ გამოსარკვევად.

კაბათი მარკოკოს საკითხის გარშემო.

პარიზი, 25 ივნისი. მარკოკოს საკითხის გარშემო გამართულ კამათის დროს „ეუნანელ დე-დეპუტ“ გამოსულმა აღშფოთებას, რომ „რევოლიუციონური გეგმები თავისუფლად ჰპოვებს გამოხატულებას საფრანგეთის პარლამენტის ტრიბუნიდან. გაზეთი მოითხოვს მთავრობისაგან **„სერიოზულ ბრძოლას ყველა მორთო მევოლიუციონურ კომუნისტების გეგმების ჩიხაადმდეგ“.**

მარკოკოს ამბების გარშემო

პარიზი, 25 ივნისი. პარლამენტის კომისია, რომელიც გაგზავნილია მაროკოში, ამ დღეებში დაბრუნდება პარიზში.

ერთადერთი დასკვნა, რომელიც გამოიტანა ამ კომისიამ, გამოიხატა იმაში, რომ იგი **მოითხოვს სამხედრო ბასალის დიდი რაოდენობის გაგზავნას რიფების ფრონტზე.**

მეამბოხეთა რიცხვი იზრდება

პარიზი, 25 ივნისი. „იუმანიტე“ იტყობინება, რომ **უეჭვოს სამხრეთ ნაწილის მთელი რიგი მოდგმები შეუერთდნენ მეამბოხეებს.**

ფრანკის მოსამსახურეთა ორგანიზაცია პარიზში

პარიზი. 25 ივნისი. გაიფიცენ პარიზის ფოსტის დამტარებლები. გაფიცვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მათ არ მიუღიათ პარლამენტის მიერ დამტკიცებული მოხატება სიძვირისათვის, გაფიცულების ნაწილი ჩასაფრდა მთავარ ფოსტის შენობაში. პოლიციელები შეიჭრენ შენობაში. მესამეჯერ გაფრთხილების შემდეგ გაფიცულებმა დასტოვეს შენობა.

ძველოდენი შესწორება მოსამსახურეთა დათხოვნის წესებში

რაც გამოსადეგი და სწორია ერთ დროისათვის, ის არ გამოდგება და არ იქნება სწორი სხვა დროისთვის. სხვადასხვა პირობებში რაიმე ზომის გატარება სხვადასხვა შედეგებს მოიტანს. ავიღოთ მაგალითად შრომის საკითხები ის, რაც უწინ ჩვენში (და ახლაც ბურჟუაზიულ ქვეყნებში) მუშების ინტერესების დაცვას წარმოადგენდა, ამჟამად, პროლეტარულ დიქტატურის დროს, საბჭოთა რესპუბლიკებში შეიძლება წავიდეს მუშათა კლასის ინტერესების წინააღმდეგ.

დიდი შეცდომა იქნებოდა, რომ ჩვენ ეხლანდელ პირობებში შრომის საკითხები ისე გადაგვეჭირა, როგორც ამას უდგებოდით ბურჟუაზიულ წესწყობილების დროს. ავიღოთ მაგალითისათვის ნარდი მუშაობის საკითხი. უწინ ნარდი მუშაობის წინააღმდეგ ვლაშქრებოდით. ახლა კი მისი მომხრე ვართ და, სადაც შესაძლებელია, ნარდი მუშაობა იქ შემოგვაქვს. ამგვარად ნარდი მუშაობისადმი მიდგომის გამოცვლა სრულებით არ ნიშნავს ჩვენი პოლიტიკის შეცვლას. უწინ ნარდი მუშაობის წინააღმდეგ წასვლა საჭირო იყო ბურჟუაზიის დასასუსტებლად და მუშათა კლასის გასამარჯვებლად. ახლა ნარდი მუშაობის ფართო წარმოება საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურის განსამტკიცებლად და მუშათა კლასის საბოლოოდ გასამარჯვებლად.

ყველა საკითხების გადაჭრა აუცილებელია კონკრეტიული პირობების მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევებში სასურველ შედეგებს ვერ მივაღწევთ.

ამ მხრივ საჭიროა გადავსინჯოთ მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნის წესები და შეუფარდოთ ის ეხლანდელ პირობებს. უწინ და ახლაც, ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში, მუშათა კლასი, სხვათა შორის, იბრძოდა და იბრძვის იმისათვის, რომ დათხოვნილ მუშა-მოსამსახურის მოწმობაში არ ყოფილიყო აღნიშნული დათხოვნის მიზეზი, ანდა ისეთი ნიშნები, რაც მომუშავეს დაუშლიდა ხელს სხვა სამუშაოზე შესვლას. ეს მოთხოვნილება სამართლიანი იყო. ის იცავდა მუშების ინტერესებს. სხვანაირად ამ საკითხისადმი მიდგომა არ შეიძლებოდა, ვინაიდან მაშინ დასათხოვნ მოწმობაში აღნიშვნა, რომ მუშას ითხოვენ ამა თუ იმ მიზეზის გამო, სამუდამოდ ულუმპაპიროდ დასტოვებდა დათხოვნილს და მას არც ერთი დამქირავებელი არ მიიღებდა.

უწინ ეს ძლიერ კარგი იყო, მაგრამ ეხლა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, ის არაფრად არ ვარგა და მიდის მუშათა კლასის საერთო ინტერესების წინააღმდეგ.

ეს ცხადი იქნება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: მოსამსახურეს ითხოვენ რომელიმე საბჭოთა დაწესებულება ან წარმოებიდან; დათხოვნის მიზეზი არის, ვთქვათ, დაუდევრობა, ან გაფლანგვა, ან დავალების სისტემატიურად შეუსრულებლობა, ან საქმის უყოდინარობა და სხვა ამგვარი. არსებული შრომის კანონმდებლობით, დასათხოვ მოწმობაში არ შეიძლება შეტანილი იქნეს დათხოვნის მიზეზი. დათხოვნილი მოსამსახურე იღებს მოწმობას, სადაც მხოლოდ ნაჩვენებია, თუ რადენი ხანი და რომელ თანამდებობაზე მუშაობდა. ამ მოწმობით მას უფლება ეძლევა სხვა დაწესებულებაში იმოვოს სამუშაო. ახალმა დაწესებულებამ არ იცის მისი წარსული და იღებს მას. აქ კიდევ იწყება დაუდევრობა, ბოროტმოქმედება, დავალების შეუსრულებლობა და სხვა ამგვარი, რაც საბჭოთა ხელისუფლებას ძვირად უჯდება. რამოდენიმე ხნის შემდეგ, როცა დაწესებულებას საკმაო ზარალი დაატყდება თავზე, მოსამსახურეს ითხოვენ. დათხვნის მიზეზი მოწმობაში კიდევ არ იწერება. ხსენებული მოსამსახურე კიდევ სხვა ადგილს მოუღობს, და ასე, ანალოგიურად ნაკარდობს ერთი დაწესებულებიდან მეორეში. ამას წინეთ იყო შემთხვევა, როცა ერთი და იგივე პირი მაზრიდან მაზრაში გადადიოდა და ყველგან საზოგადო (კოოპერაციის) ფულებს ფლანგავდა.

ასეთი მოვლენის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა, რომ არსებულ შრომის კანონმდებლობაში შეტანილი იქნეს შესწორება და მიეცეს უფლება წარმოება-დაწესებულებებს მოწმობაში აღნიშნონ დათხოვნის მიზეზები. თუ დათხოვნა ხდება საქმის უყოდინარობის გამო, მოწმობაშიც უნდა იქნეს ეს აღნიშნული; თუ დათხოვნა ხდება ბოროტმოქმედების, დაუდევრობისა თუ სხვა მიზეზების გამო—ყოველივე ეს უნდა იქნეს აღნიშნული დათხოვნილ მოსამსახურის პირადულ მოწმობაში.

ამგვარ შესწორების შეტანა, არსებულ შრომის კანონმდებლობაში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებებს უფლება მიეცეს არა მარტო დათხოვნის მიზეზის პირად მოწმობაში აღნიშვნისა, არამედ გაზეთებშიაც საჯაროთ გამოაცხადებინ. თვითეული დაწესებულება უნდა აქვეყნებდეს საჯაროთ, რომ ესა და ეს პირი დათხოვნილია ამა და ამ მიზეზის გამო. ეს ააცილებს ჩვენს სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებას ზარალს.

ს. გოდუბრელიძე.

რა პირით „მიგრუნდა“ სიმონ სულა-ბერიძე ტოგანიერისაკენ

დღემდი ჩვენ საქმე შემდეგნაირად წარმოგვედგინა: როცა ქალაქში მომუშავე ჩადის სოფლად, თუ მას გული შესტკივა გლეხის ჭირვარამზე, ის პირველ ყოვლისა მოიკითხავს სოფლის საზოგადოებრივ და ნებაყოფლობითი ორგანიზაციებს ძდგომარეობას, გაეცნობა პარტიულ მუშაობასაც და არ დაიზარებს სოფლის მოწინავე ღარიბ გლეხობასთან საჭირ-ბოროტო კითხვებზე საუბარს, რომელიც მათ ჩვენს პირობებში ასე დიდათ აინტერესებთ.

მაგრამ სულ სხვანაირათ ფიქრობს და უდგება ამ საკითხს თურმე სიმონ სულაბერიძე. თქვენ მას არ იცნობთ, რასაკვირველია. არც ამ სტრიქონების ავტორს ეუბნება რამე ეს სახელწოდება. სიმონი ჩვენში ბევრია, რა თქმა უნდა. არც სულაბერიძე წარმოადგენს გაუგონარ გვარს.

ხოლო, რაც შეეხება თვით სიმონ სულაბერიძეს და მის მიერ ჩვენი სადღეისო სოფლის პოლიტიკის გაგებას, აქ ის მართლაც იშვიათ ექზემპლიარის ტიპს იძლევა და ამით რამდენადმე მაინც გვაიდვილებს იმ ორფეხი სულდგმულის დაახლოებით წარმოდგენას, რომელსაც სიმონ სულაბერიძე ეწოდება.

მიმდინარე ივნისის ერთ ჩვეულებრივ დღეს, როცა ქუთაისს ზაფხულის პაპანაქება ჩამოაწვა, სიმონს, რომლის ფაქიზი ორგანიზმიც ვერ იტანდა ქალაქის მტვერიან ქუჩებს და ქვის კედლებზე ამდგარ ალმურს, აზრად მოუვიდა სოფლად გასეირნება. პარტია, სახელმწიფო, პროფკავშირი, კოოპერაცია და ყველა გაიძახის „პირით სოფლისაკენ“, გაიფიქრა სიმონმა, და გადასწყვიტა თავისი მშვენიერი პირი მიექცია ტობანიერისაკენ.

კვირა დღე იყო. სოფელში იმ დღეს, როცა ის გააბედნიერა სიმონმა თავის წვეულებით, კრებები და მიტინგები უნდა ჩატარებულიყო. სიმონმაც იმის მაგივრად, რომ შესულიყო ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციაში, გასცნობოდა კრების დღის წესრიგს, მიტინგის მოწვევის მიზეზს და დასწრებოდა წინასწარ კრებებს, თავის მომხიბლავი ქალაქის პირი ნიკიფორეს სამიკიტნოს მიაპყრო.

საღამოს ნუნუას ეალერსა. დაღამებისას ერთი ვაი-ვაგლახით მიიტანა ფეხები ლოგინამდი. მეორე დღეს ჩიტი გაღვიძებული არ იყო, და სიმონი უკვე სამიკიტნოების დარაბებს მიადგა.

დღეს მან გადასწყვიტა, რომ ტობანიერის სხვა მიკიტნებს გული არ სტკენოდა, ყველგან დაეწო ენა ღვინისათვის და ვიზიტით დაუარა სამიკიტნოებს.

შემდეგ მას ტელეფონით არშიყობის ხომშა მოუარა. და სიმონიც გულში ხელის ცემით და თვალების ნარჯით ჩასჩიკჩიკებდა ტელეფონის მილს.

ამასობაში საღამოს ბინდმაც შემოჰკრა. ქალაქიდან ჩასულ ჰტტროსან გვამს ფოსტის განყოფილებაში წასვლის ხასიათი დაებადა. ორშაბათი დღე იყო. ტობანიერის ფოსტა ქვირის ნაცვლად ამ დღეს დასვენებით სარგებლობს.

ფოსტის განყოფილებაც დაკეტილი აღმოჩნდა. სიმონმა ეს იწყინა. როგორ, მე, სიმონ სულაბერიძე, ტობანიერში ვიყვე და სახელ

უკანასკნელი ცნობები

ფულს აგროვებენ თავისიანების დასახმარებლად

ნიუ-იორკი. 25 ივნისი, ჩინელმა ვაჭრებმა და სტუდენტებმა ჩრდილო-ამერიკაში დაიწყეს ფული შეგროვება ჩინეთის ეროვნულ მოძრაობისათვის დასახმარებლად. გადაწყვეტილია მილიონ დოლარის შეგროვება.

ნიუ-იორკელმა ჩინელებმა გადმოწყვიტეს 100.000 დოლარის შეკრება აქედან 40.000 უკვე შეკრებილია.

სავაჭრო ხელშეკრულება

ვაშინგტონი. 25 ივნისი. ოფიციალურ ცნობის თანახმად უნგრეთმა და შეერთებულმა შტატებმა ხელი მოაწერეს იმგვარივე ხასიათის სავაჭრო ხელშეკრულებას როგორი ხასიათისაც არის გერმანია-ამერიკის შორის დადებული ხელშეკრულება.

გულგარელ პოლიტიკურ ლტოლვილთა დაპატიმრება

ვენა. 25 ივნისი. გაზ. „ავორორა“ იუწყება რუმინეთში მყოფ გულგარელ პოლიტიკურ ლტოლვილთა დაპატიმრების შესახებ, რომელნიც გადაეცემიან გულგარეთის მთავრობას.

დაპატიმრება მოახდინა ბუქარესტიდან ჩამოსულმა 18 კაცისაგან შემდგარმა გულგარეთის პოლიციის რაზმმა.

რა მოხდა 23 ივნისს კანტონში?

ვაშინგტონი. 25 ივნისი. სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა ამონაწერი კანტონში მყოფ ამერიკის კონსულის მოხსენებიდან 23 ივნისს მოხდარ ამბების შესახებ.

ტელეგრამები ეუბნებიან: ჩინეთის ჯარის კაცებსა და ინგლისისა და საფრანგეთის მეზღვაურთა შორის 20 წუთის განმავლობაში სწარმოებდა გაცხარებული სროლა ვინტოვკებიდან და ტყვიამფრქვეველებიდან. მოკლულია ერთი ფრანგი, დაჭრილია რამდენიმე ევროპიელი. ამერიკელები არ დაზარალებულან. ჩინეთების მხრივ მოკლულია 100 კაციამდე. მდგომარეობა მეტად გამწვავებულია. სროლის განახლება მოსალოდნელია ყოველ წუთში.

ჩემბერლენი ჰარიმანის კონცესიის შესახებ

ლონდონი. 25 ივნისი. თემთა პალატაში შეტანილ შეკითხვებზე ჩემბერლენმა განაცხადა, რომ მან იცის პირობები იმ კონცესიისა, რომელიც მიიღო ჰარიმანმა საბჭოთა კავშირში. ის ფიქრობს, რომ ინგლისის ფირმებს წილი უდევთ ამ კონცესიაში.

დემონსტრაცია პეკინში

პეკინი. 25 იკნისი. საერთო მოლოდინის წინააღმდეგ დღევანდელი დემონსტრაცია (?) დიდათ არ განსხვავდება წინანდელ დემონსტრაციებიდან. პირიქით მასში მცხოვრებთა უფრო მცირე ნაწილი ღებულობდა მონაწილეობას, ვიდრე მრავალ წინანდელ დემონსტრაციაში. ამ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო მრავალმა მუშამ, განსაკუთრებით ხელოსნებმა მაგრამ ვაჭრები არ იყვნენ, თვით სტუდენტების მასაც კი არ იყო ისეთი დიდი, როგორც წინეთ.

მიუხედავად დემონსტრაციისა დუქნების დიდი ნაწილი ღია იყო, თუმცა ფიქრობდნენ, რომ დემონსტრაციის გამო ყველა დუქნები დაკეტილი იქნებოდა.

პეკინში შემდგარი მიტინგიც უფრო მკირერიცხოვანი და სუსტი იყო, ვიდრე ჩვეულებრივ.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ პოლიციისა და ჯარების მეტად შეიარაღებული რაზმები, შემდენიც შეჯგუფებულნი იყვნენ გზაჯვარედინზე. ისინი განსაკუთრებული სიძლიერით იცავდენ დიპლომატიურ უბანში შესასვლელ კარებს.

დემონსტრაცია ჩატარდა ორგანიზაციულად და სრულის წესრიგის დაცვით თანახმად პოლიციისა და სამხედრო ხელისუფლების მიერ გამოცემულ ბრძანებებისა.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ პოლიციამ არც ერთ ღებოელს ნება არ მისცა მიახლოვებოდა მიტინგის ადგილს. სხვათა შორის არ გაუშვეს არც რუსი და არც გერმანელი კორესპონდენტები.

როგორც გადმოგვცემენ სათანადო ინსტრუქციები გაცემული იყო დიპლომატიური კორპუსის მიერ.

ფილიფოტო განცხადება

პარიზი. 25 ივნ. პარლამენტთან არსებულ საფრანგეთ-რუსეთის მეგობრობის ჯგუფის თავმჯდომარემ ფილიპოტომ „როსტა“-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს განაცხადა: „ჯგუფში შედის დაახლოებით 70 წევრი. ჯგუფის მიზანია იმ ზღუდეების მოსპობა, რომელიც აშორებს სეფრანგეთს საბჭოთა კავშირისაგან. რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების განხორციელებისათვის საჭირო არ არის დაცდა ვალების საკითხის მოგვარებამდე. საჭიროა დაახლოების ძებნა იმ დარგებში, სადაც არ არის ინტერესთა შეჯახება.

ამ ჯგუფს განზრახული აქვს გავზავნოს საბჭოთა კავშირში დელეგაცია, რათა გაადვილებული იქნეს ურთიერთობის განმტკიცება საბჭოთა კავშირის ეკონომიური ცხოვრების ადგილობრივად გაცნობისა და შესწავლის გზით.

ჩემბერლენი ანგარიშს უწევს საგზო-თა კანონებს

კაპიტან სიუტორის საქმის გამო შემო

ლონდონი, 25 ივნისი. კონსერვატიული პარტიის წევრმა, დეპუტატმა კადოგანმა თემთა პალატაში შეკითხვა მისცა გარეშე საქმეთა მინისტრს ჩემბერლენს იმის შესახებ, რომ ვითომც ცნობილი მთავრობამ პროტესტი საბჭოთა მთავრობას კაპიტან სიუტორის გასამართლების გამო ელადიასტყრში.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ რამდენთაც მან იცის **სიუტორის დაპატიმრების მიზეზი იყო მის მიერ ხელის ბორკილების გამოყენება, რაც საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით მძიმე დანაშაულად ითვლება. ამიტომ კაპიტან სიუტორის დაპატიმრება არ იძლევა საკმაო საბუთს პროტესტის გამოხატვადებლათ საბჭოთა მთავრობისათვის.**

ნყალდიდობა ერევანში

ერევანი, 26 ივნისი. 25 ივნისს ღღისით 3 საათზე კატაკის რაიონში ერევნიდან ჩრდილოეთით—დიდი წვიმების და სეტყვის გამო მოხდა დიდი წყალდიდობა. ასეთი წყალდიდობა არ ყოფილა რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში. წყალმა გადმოლახა გედერჩაის ნაპირები და ნორდიდზორით შეიჭრა ქალაქში, ქალაქის ყველა ქუჩები წყალმა დაბანაკა.

წყალი შეუერთდა ამუიატის შაუმანის არხს, რის გამო წყალდიდობამ მიიღო ფართე ხასიათი. სახლების სარდაფები, კერძო და სახელმწიფო საწყობები გაიცსო წყალით. ქალაქში დანგრეულია ბევრი სახლი, მცხოვრებლები უთავშესაფაროდ დარჩენ, მიღებულია ზომები მათთვის ბინების ალმოსაჩენად. განსაკუთრებით დაზარალდენ უნივერსიტეტის სამეცნიერო ხელსაწყოთა საწყობები, აგრეთვე წითელი ჯვრის საწყობები, კომკავშირელთა კლუბი, სომხეთის საგანგებო კომისიის შენობა, მეორე საავადმყოფო და სხვა.

მანქანების საშუალებით მოსახერხებელი შეიქნა წყლის ნაწილობრივი ამოქაჩვა სარკაუებიდან და საწყობებიდან.

ხიდი, რომელიც ქალაქს აერთებს გარეუბან ნორეკთან და აგრეთვე ბევრი სხვა პატარა ხიდები წაიღო წყალმა. ნორკი სრულებით მოწყვეტილია ქალაქს. ქალაქის მიდამოები და აგრეთვე სადგურისაკენ მიმავალი შოსე საგრძნობლათ არის დაზიანებული.

ქალაქის ქუჩებში დაგროვებულმა წყალმა თავი მოიყარა ერთ დიდ რუში, რომელიც რწყავდა ოთხ მახლობელ სოფელს. ეს სოფლებიც წყალმა დაფარა. სოფლებში დაიღუპა ნათესები—ბაღები და ბაბჩები.

როგორც ქალაქში, აგრეთვე სოფლებში არის ადამიანთა მსხვერპლი, რაცხვ ჯერ გამოურკვეველია. წყალდიდობასთან საბრძოლველათ გაწვეული იქნეს ყველა ზრომის უნარმქონე მოქალაქენი და კომკავშირელები.

წყალდიდობამ გასტანა 1 ნახევ. საათის განმავლობაში, დამთავრდა 3 საათის შემდეგ. ქალაქის ქუჩებში წყალმა დააგროვა დიდი ქვები, ჯიკვები და ხეები. ქალაქის წყალსადენი დანგრეულია.

დიდათ დაზარალდენ ერევნის ჩრდილოეთ მდებარე სოფლები.

წყალდიდობის შედეგების და ზარალის გამოსარკვევათ დაარსებულია კომისია.

წინასწარ ცნობებით ზარალი აღემატება რამოდენიმე მილიონ მანეთს.

წყალდიდობის შეჩერება მოხერხდა წყლის გადაშვებით მდინარე სანგას კალაპოტში.

მთავრობის და ცკაკის წევრები უბედურობის დროსაც და შემდეგშიაც ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას სტიქიასთან ბრძოლაში.

გერმანელ ფაშისტ სტუდენტების საქმე

ამხ. კრილენკოს განცხადება

მოსკოვი. 26 ივნისი. 25 ივნისს დილის სხდომას ესწრებიან მხოლოდ ბრალდებულების მიერ ბერლინიდან გამოწვეული მოწმეები **ფიშკი და როზე.** მოწმეების ვინაობის გამორკვევის შემდეგ ბრალდებელი კრილენკო აცხადებს:

„სისხლის სამართლის პროცესუალურ კოდექსის 274 მუხლის ძალით, სასამართლომ ყოველივე ზომები უნდა მიიღოს, რომ მოწმეებმა არ იქონიონ ერთმანეთთან და აგრეთვე მოწმეებთან ურთიერთობა. მე მოვალე ვარ ვაცნობო სასამართლოს, რომ გაცემული იყო განკარგულება, რათა ჩამოსულისთანავე მოწმეები მიეყვანათ პირდაპირ უზენაეს სასამართლოს შენობაში და აქ მოესპოთ მათთვის სხვა მოწმეებთან კავშირის დაჭერის საშუალება“.

სასამართლო ადასტურებს ბრალმდებელის მიერ მიღებულ ზომებს და წინადადებას აძლევს კომენდანტს თვალყური ადევნოს იმას, რომ მოწმეები ფიშკი და როზე არსად არ გავიდენ მოწვევების ოთახიდან და არავისთან ურთიერთობა არ დაიკავონ სასამართლოს ნებადაურთველად.

ბრალდებულ დიტმარის ჩვენება

შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულ დიტმარის დაკითხვას. **ბრალდებული აღიარებს თავის** დანაშაულს და აღნიშნავს, თუ როგორი გარდატეხა მოახდინა მასში ეგრედ წოდებულ მართლმადიდებელ და კათოლიკე მღვდლებთან, ძველი არმიის ოფიცრებთან, ყოვგლ მემამულეებთან დიდი ხნით ერთ კამერაში ყოფნამ.

დიტმარი ამბობს: ისინი სწუხდენ არა სამშობლოზე, არა სარწმუნოებაზე და ხალხზე, არამედ დასტირდენ მათ წარსულ კარგ ცხოვრებას, დაკარგულ ბატონობას და ფულებს. იგონებდენ, როგორ ატარებდენ დროს ქეიფში, როგორი ჭამა-სმა ჰქონდათ. **მე დავინახე მთელი სიყალბე ჩემი მდგომარეობის, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც სვიდლობდი ყალბი ჩვენების მიცემის გზით გამეყვანა ციხიდან ისინიც და ჩემი თავიც.**

ყველაფერი, რაც მე მწამდა დღემდე, მაგალითად: რელიგია, რწმენა, პატიოსნება, მორალი—პურტყუნიისყველა ეს ლამაზი, მოხიბლავი ლოზუნგები რაღაც **საშინელმა უფსკრულმა დაჭირა. მე მივხვდი, რომ მე გავხდი სათამაშო** ამ ხალხის ხელში, **რომლისთვისაც ყველა ეს მყვირალა ლოზუნგები წარმოადგენდენ მხოლოდ ნიღბს ხალხის მას ების და ახალგაზრდა ენტუზიას ტების გასაბრიყვებლად.**

ჩემი დანაშაული, რომლის შეშცირებას მე აქ არ ვსცდილობ, იყო შეცდეგი იმ საზოგადოების, რომელშიაც მე ვტრიალ ბდი. მე ერთ რამეს მოვითხოვ, რომ მე **ნუ გამრევენ საიდუმლო პოლიციის იმ მოსყიდულ ჯაშუშებში, როგორიც არიან კინდერმანი და გოლუბი.** ეხლა მე **ვრწმუნდები, რომ მთელი ეს ექსპედიცია და ჩემი ჩათრევა** ამ „მუშაობაში“ **იყო ბერლინის პოლიციის საქმე.**

შემდეგ დიტმარი დაწვრილებით მოუთხრობს სასამართლოს, თუ როგორ მოეხდა ის ფაშისტურ ორგანიზაცია „კონსულ“-ში და როგორ გამოიყენეს ის ამ ორგანიზაციაში გერმანიის **პროლეტარიატის** საწინააღმდეგო ბრძოლაში. დიტმარი ამბობს, რომ აგვისტოს დასაწყისში ამ ორგანიზაციის დავალებით მას უნდა შეეძინა კომპარატის ბილეთი და მოწყობილიყო სავაჭრო წარმომადგენლობაში, მაგრამ ბატონ როზეს განკარგულებით ის გადაყვანილ იქნა კიხდეოდანის ექსპედიციის განკარგულებაში.

კრილენკო შეკითხვას აძლევს ბრალდებელს, ვინ არის ეს როზე. დიტმარი უპასუხებს, რომ ეს ის როზეა, რომელიც გამოწვეულია მოწმეთო.

ამის შემდეგ სხდომა ათი წუთით წყდება.

ბრალმდებელის წინადადება.

სხდომის განახლების შემდეგ კრილენკო მოითხოვს სასამართლო შეჩერდეს დიტმარის განმარტებაზე და გამოარკვიოს ამასთან დაკავშირებით, რამდენად სწორად არის გაშუქებული საბრალმდებლო ოქმში მაშინდელ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის როლი, რამდენად სწორად არის მოცემული ფაშისტური მოძრაობის და კერძოდ ერხარდტის როლის შეფასება. კრილენკო მოითხოვს აგრეთვე განხილულ იქნეს ორგანიზაცია „კონსულ“-ის მუშაობა. წინადადება მიღებულ იქნა ხმათა ერთობით. ამის შემდეგ სხდომა წყდება საღამოს 8 საათამდე.

მოწმეების განთავისუფლება ხელწერილის ქვეშ.

საღამოს სხდომაზე სასამართლო ადგენს წინასწარ განხილულ იქნეს ბრალდების საერთო ნაწილი. ამის ვამო კრილენკო მოითხოვს, რომ ფიშკი და როზე განთავისუფლებულ იქნენ ხელწერილის ქვეშ, სანამ მათი დაკითხვის რიგი მოვიდოდეს. წინადადება ძიღებულ იქნა.

შემდეგ კრილენკო მოითხოვს, რომ დიტმარის ჩვენებიდან გაცნობილ ფაქტების შესამოწმებლად წაკითხულ იქნეს დოკუმენტები თვით ერხარდტის წერილიდან, რომელიც დართული აქვს საქმეს. წინადადება მიღებულ იქნა. კრილენკო ითხოვს ადგილებს კაპიტან ერხარდტის წერილიდან. ყველა იმ მასალების წაკითხვის შემდეგ, რომლებიც ახასიათებენ ერხარდტის გვარდიის „შუშაობას“, სასამართლო შეუდგა ძოწმეთა დაკითხვას.

ვის ასამართლებენ

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი 26 ივნისი. გაზ. იზვესტია“ სწერს:

„ბრალდებულთა სკამზე ზის სამი ბრალდებული—გერმანელი სტუდენტები, პატრიოტები, ნაციონალისტები.

იმათ უნდა განეგრძოთ საქმე, რომლის გაკეთება ვერ შესძლო მსოფლიო კაპიტალმა, რომელსაც ის მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ შეიარაღებული არმიებით. ისინი ინტერნაციონალისტები ამ თავიანთი მოქმედების გასაქანით, მათი საკუთარი ჩვენებანი და არა რაიმე „ზენოვიევის წერილები“ დოკუმენტალურად **ამტკიცებს,** თუ რა ძალები ღებულობდენ მონაწილეობას ამ ბანდიტების გადაგზავნაში ერთი ქვეყნიდან მეორეში და ბოლოს საბჭოთა ქვეყანაში.

„კურიერი“ მთხალისე ორგანიზაციამ გამოგვიგზავნა ჩვენ ეს ახალი გაზრდები, მაგრამ მას შეიძლო გაენეორციელებია თავისი გეგმის შეცრდი ნაწილი, თუ დაეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ მოხალისეებზე, კერძო თაოსნობაზე. მაგრამ უკვე ის საშუალება, რომლითაც ორგანიზაცია სარგებლობდა, აშკარად მიუთითებს, რომ დახმარებას უწევდენ მას კაპიტალისტური წრეები.

ურთიერთობათა რთული კვანძი უნდა გახსნას საბჭოთა კავშირის უზენაესმა სასამართლომ. ბრალდებულთა დანაშაულებრივი მოქმედება ჩვენს კავშირში ორი კვირაც არ გაგრძელებულა. მაგრამ ისტორიისათვის ამ საქმის დასაწყისი შეთანამგებულია ზარბაზნების უკანასკნელ გრიალთან, იმპერიალისტურ ომისაგან იღაც გაწყვეტილ და მოტყუებულ მუშათა კლასის უკანა სკნელ გმინვასთან და კულტურულ ქვეყნების მრავალმილიონიან მაყაბის ახალ ტანჯვათა დასაწყისთან“.

ჭლექის საშიშროება

ჭლექი როგორც პროფესიონალური ავადმყოფობა

ადამიანი რომ ჭლექით დაავადდეს, საჭიროა ორი პირობა: 1. რომ მან ჩაისუნთქოს ჭლექის ბაცილებით გაეღენთილი ჰაერი და 2. თვით ადამიანის სხეულში ჰქონ ბაცილებმა შესაფერი ნიადაგი.

რას ნიშნავს ეს შესაფერი ნიადაგი? ავიღოთ მაგალითისათვის ჩვენი სოფლის ცხოვრებიდან ტყვა თესვა. ვინ არ იცის, რომ მთესველ გლეხის ხელიდან ყოველი გასროლილი მარცვალი არ იძლევა ნაყოფს. ზოგი მათგანი მოუხვნელ ხარვეზებზე ეცემიან, ზოგიც კი თვით იქნებიან სათესლეთ უვარგისი. თითქმის ასეთივე პირობებია ჭლექით დაავადების დროსაც. ან თვით ჭლექის ბაცილები უნდა იყვნენ მეტად უხარისხო ავადმყოფობის გამოსაწვევად ან კიდევ ის ადამიანი, რომელიც ჩაისუნთქავს ამ ბაცილებს, უნდა იყოს იმდენათ სუსტი, რომ მისმა სხეულმა ვერ გაუწიოს სათანადო წინააღმდეგობა იმ შეჭრილ ბაცილებს. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ადამიანის დაავადებაში დიდ როლს თამაშობს ჩასუნთქული ბაცილების სიმრავლეც. რამდენათ მრავალათ შეიჭრებიან ეს ბაცილები სხეულში, იმდენათ უფრო ადვილათ და ჩქარა გადალახავენ სხეულის მიერ წარმოებულ წინააღმდეგობას. მაშასადამე, ადამიანი რომ ჭლექით დაავადდეს, სეჭიროა მის სხეულში შეიჭრეს ჭლექის ბაცილების საკმაო რიცხვი და მათ ამ სხეულში ჰპოვონ თავიანთ საცხოვრებელი და გასამრავლებლათ.

ჩვენდა საბედნიეროთ, საღ ფილტვებში და საერთოდ საღ სხეულში ბაცილები ნაკლებათ იკიდებენ ფესვს, ორორემ წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა ჩვენგანი დაავადებული უნდა იყოს ჭლექით, ვინაიდან ჩვენი ყოველ დღიური სამუშაო ადგილები სავსეა ასეთ ბაცილებიან ჰაერით.

ყველა ის საწარმოო დარგი, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის სხეულის დასუსტება-დაზიანებას იწვევს მასთან ერთათ, ჭლექით დაავადების სიხშირესაც. ჩვენ ვიცით, რომ ადამიანის არსებობისათვის საჭიროა სუფთა ჰაერი. ასეთ ჰაერის საშუალებით იწმინდება ფილტვებში სისხლი და იგი აკაზრდოვებს სხეულს. აქედან ცხადია, რომ თუ ხშირათ ვისუნთქავთ მტვრიანი და ბინძური ჰაერი, სისხლი თანდათან გვეწამლება. ის ამ დროს სათანადოთ ვერ ასაზრდოებს სხეულს, რის გამო ყველანაკლები სუსტდება, ვერ უძლებს ავადმყოფობის შეტევებს და მსხვერპლად ეწირება მას.

სხეულის ამგვარათ დასნეულობას შეუწყნებლობასა და დაუდევრობასთან ერთათ, ხელს უწყობენ ზოგიერთი პროფესიონალური სამუშაოებიც მაგალითისათვის თვალი გადავავლოთ თუთუნის ქარხანას. მთელი შენობა სავსეა თუთუნის მტვერით. ამ მტვერს ყოველდღიურათ სუნთქავენ იქ მომუშავენი. თუთუნის მტვერი კი აღიზიანებს ფილტვებს და თანდათანობით ასუსტებს მათ. ამ პირობებში, თუ სასტიკათ არ არის დაცული სახანტარული პირობები, მაგალითად, დაშვებულია იქ სამუშაოთ ღლექიანი მუშა, რომელიც უკაცობის გამო, თავისუფლათ აფურთხებს იატაკზედ, რა თქმა უნდა, სხვებიც ადვილათ დაავადებიან.

მოვიგონოთ აქვე ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრე ქიათურის შავი ქვა. მთელი ეს მიდამო შავი ქვის მტვერით არის მოცული. იქ ათასობით მუშაობენ და ოფლში იწურებიან მუშები. ასეთი მტვერიან ჰაერით სუნთქვა—მუდმივ დღე და ღამე, რა თქმა უნდა, დააზიანებს როგორც ფილტვებს, აგრეთვე მთელ სხეულსაც და გახდის მათ ჭლექის ბაცილების კარგ საკვებ ნიადაგათ.

ასევე ითქმის ტყიბულის ქვანახშირის ძაღიროებზეც და აგრეთვე ყველა ისეთ წარმოებათა შესახებ, სადაც თვით სამუშაოა ისეთი, რომ აღვილებელია მტვრიან ჰაერით სუნთქვა.

ზემოჩამოთვლილ საწარმოო დარგების გვერდით შეიძლება დავაყენოთ ჩვენი საკანცელარიო დაწესებულებები, სკოლები და ყველა ისეთები, სადაც ხალხი შეჯგუფებულია. იქ მომუშავენი დიდხან იმყოფებიან დახურულ ოთახებში, უმეტესად ზამთრით და სუნთქავენ მტვრიან ჰაერით. თუ ასეთ მოძუშავეთა შორის არის ვინმე ჭლექით დაავადებული, რაც არა იშვიათი მოკლეაა და ასეთი ავადმყოფი, სათანადო აღზრდის მოკლებული და მასთან დაუდევარი, თავისუფლად აფურთხებს იძავე ოთახში, ან კიდევ დერეფანში,—ხელს შეუწყობს ავადყოფობის გავრცელებას. კანცელარიის მომუშავეთა თითქმის ფიზიკურად უმძიმოა მუშაობა და სისტემატიურად მტვრიან ჰაერით სუნთქვა ხელს უწყობს მათი სხეულის დასუსტებას. აიეთ დასუსტებულ სხეულში ადამიანის არსებობისათვის საჭიროა სუფთა ჰაერი. ასეთ ჰაერის საშუალებით იწმინდება ფილტვებში სისხლი და იგი აკაზრდოვებს სხეულს. აქედან ცხადია, რომ თუ ხშირათ ვისუნთქავთ მტვრიანი და ბინძური ჰაერი, სისხლი თანდათან გვეწამლება. ის ამ დროს სათანადოთ ვერ ასაზრდოებს სხეულს, რის გამო ყველანაკლები სუსტდება, ვერ უძლებს ავადმყოფობის შეტევებს და მსხვერპლად ეწირება მას.

საბჭოთა მედიცინა მოითხოვს—სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცვით გადაკეთებულ-განაწყებულ იქნენ ყველა ასეთი საწარმოო დაწესებულებები. რომ ასეთ წარმოებადაწესებულებებში ჰაერში მუშაობას თავის დროზედ მუშაობდეს და თავის დროზედ ისვენებდეს, რათა მისი სხეული არ დასუსტდეს და არ გახდეს რომელიმე ავადმყოფობის მსხვერპლი.

ყველა ამ პირობების სისწორით ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა პირველყოვლისა თვითეულ მუშა-მოსამსახურის თვით შეგნებაც.

მან უნდა იცოდეს, თუ რამდენად საჭიროა მისთვის წმინდა ჰაერი და თავის დროზე დასვენება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. აგრეთვე მათ უნდა იცოდენ დაახლოებით, თუ რა პირობებში უჩნდება ადამიანს ესა თუ ის გადაძდები სნეულება, ამ შემთხვევაში კი ჭლექი, რომ თავსაც ისე მოუაროს, რ გ საჭიროა. მხოლოდ მაშინ არ ეწ ყება ადგილი ისეთ, თითქმის ყოველდღიურ მოვლენას, როდესაც სანატორულ გაბათლებას მოკლებული ადამიანი მის პირიდან გამოლებულ ჰაპიროსის ნამწვავს იატაკზე დაგდებს, ზედ დაადფურთხებს და ფეხსაც გაუხვამს. ასეთი ადამიანი თუ ჭლექიანია, ათასობით შეორეს იმ მიდამოს ჰაერში ჭლექის ბაცილებს, რაც სახიფათო ხდება სხვებისათვის.

მუშა-მოსამსახურეებისაღმი ასეთი ცოდნის ბისაღებად საჭიროა მედიცინა აწყობს სხვადასხვა სახის სანიტარუო-განმანათლებელ გამოფენებს და ლექცია-საუბრებს თითქმის ყველა დაწესებულებებში და უბნებში. საჭიროა მხოლოდ ჩვენი მშრომელი საზოგადოება ხშირად და სისტემატიურად დაესწროს ასეთ ლექციასაუბრებს. ამ გზით შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ისეთ ავადმყოფობას მაინც, რომლებიც უკიცობით და დაუდევრობით ღმართებიან ადამიანს ხშირად და მსხვერპლადაც იწირავს მას.

ექ. ვ. ჩხეიძე.

თბილისში სატუბერკულიოზო დისპანსერის გასახსნელად

თბილისში განსაკუთრებით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ტუბერკულიოზის დისპანსერის გახსნა, მაგრამ მათ დასაარსებლათ საჭიროა დიდი თანხა. აღნიშნულ დისპანსერს უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჭლექით ბოძოლის საქმეში.

სათანადო ორგანოებს არა აქვთ საშუალება საკუთარი თანხებით მოაწყონ იქიდენი დისპანსერები, რამდენიც საჭიროა ამ თანხა. აღნიშნულ დისპანსერთან ბრძოლისათვის. აქ საჭიროა თვით მოსაალლობა დაეხმაროს ხელისუფლებას და ჭლექის სამდღიურის განვითარებაში მაცილების აშორებაში. ამ მხრივ ბევრი რამ შეუძლიათ მუშათა შორის ჭლექით ავადმყოფობა.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ? ხომ არ უნდა დავხუროთ აღნიშნული წარმოება-დაწესებულებანი, იკითხავს მკითხველი.

არა, პირიქით უნდა ეცადოთ კიდეც მათ გამრავლებას. მხოლოდ საკითხს უნდა ისე მიუდგეთ, როგორც მიუდგა მას დღევანდელი საბჭოთა მედიცინა.

საბჭოთა მედიცინა მოითხოვს—სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების დაცვით გადაკეთებულ-განაწყებულ იქნენ ყველა ასეთი საწარმოო დაწესებულებები. რომ ასეთ წარმოებადაწესებულებებში ჰაერში მუშაობას თავის დროზედ მუშაობდეს და თავის დროზედ ისვენებდეს, რათა მისი სხეული არ დასუსტდეს და არ გახდეს რომელიმე ავადმყოფობის მსხვერპლი.

ყველა ამ პირობების სისწორით ცხოვრებაში გასატარებლად საჭიროა პირველყოვლისა თვითეულ მუშა-მოსამსახურის თვით შეგნებაც.

მან უნდა იცოდეს, თუ რამდენად საჭიროა მისთვის წმინდა ჰაერი და თავის დროზე დასვენება ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. აგრეთვე მათ უნდა იცოდენ დაახლოებით, თუ რა პირობებში უჩნდება ადამიანს ესა თუ ის გადაძდები სნეულება, ამ შემთხვევაში კი ჭლექი, რომ თავსაც ისე მოუაროს, რ გ საჭიროა. მხოლოდ მაშინ არ ეწ ყება ადგილი ისეთ, თითქმის ყოველდღიურ მოვლენას, როდესაც სანატორულ გაბათლებას მოკლებული ადამიანი მის პირიდან გამოლებულ პაპიროსის ნამწვავს იატაკზე დაგდებს, ზედ დაადფურთხებს და ფეხსაც გაუხვამს. ასეთი ადამიანი თუ ჭლექიანია, ათასობით შეორეს იმ მიდამოს ჰაერში ჭლექის ბაცილებს, რაც სახიფათო ხდება სხვებისათვის.

მუშა-მოსამსახურეებისაღმი ასეთი ცოდნის ბისაღებად საჭიროა მედიცინა აწყობს სხვადასხვა სახის სანიტარუო-განმანათლებელ გამოფენებს და ლექცია-საუბრებს თითქმის ყველა დაწესებულებებში და უბნებში. საჭიროა მხოლოდ ჩვენი მშრომელი საზოგადოება ხშირად და სისტემატიურად დაესწროს ასეთ ლექციასაუბრებს. ამ გზით შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ისეთ ავადმყოფობას მაინც, რომლებიც უკიცობით და დაუდევრობით ღმართებიან ადამიანს ხშირად და მსხვერპლადაც იწირავს მას.

ექ. ვ. ჩხეიძე.

ამიერ-კავკასიის კოოპერაციული თანაბრი

ა.-კავკასიის კოოპერაციის ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ

(ამხ. ბალტინის მოხსენება)

ამხ. ბალტინის მიერ გაკეთებულ მოხსენების მიხედვით შედგენილ თეზისებში თათბირი აღნიშნავს, რომ 1924 წლის 1-ლ ოქტომბრიდან ა|კ. კოოპერაციის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რის მიზეზადაც უნდა ჩაითვალოს აქტივის მკვეთრი ნაწილების გადიდება, 1923—24 წლის ზარალი და სახელმწიფო მრეწველობის მიერ საქონლის კრედიტით გაცემის პირობების შეცვლა.

ა|კ. ფინანსიური დაუძლურება შედეგი არის აგრეთვე იმ გარემოების, რომ კოოპერაცია ვერ ასაღებს საქონელს. ამიტომ მომავალში ყურადღება უნდა მიექცეს საქონლის ზომიერად წაღლობის და ასორტიმენტების შერჩევას.

ფინანსიური მდგომარეობის გაუარესების გამო ა|კ. კოოპერაცია იძულებული ხდება შეამციროს თავისი მონაწილეობა ქვეყნის საერთო საქონლის ბრუნვაში. ამიტომ უანლოეს ამოცანად ხდება კოოპერატიულ ბალანსების გაჯანსაღება, რისთვისაც საჭიროა—1) სააპაიო კამპანიების გაძლიერება 2) ღონისძიების მიღება აქტივის მკვდარი ნაწილების სარეალიზაციოდ და 3) მიზნობრივ ანაბარების შკრება.

უნდა იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომები, რომ ძირითადმა კოოპერატ. ორგანიზაციებმა დაფაინონ საპაიო დავალიანება თვითონ საკავშირო ცენტრების მხრით. ვინაიდან მხოლოდ ზემოხსენებული ღონისძიებით შეუძლებელია ა|კ. კოოპერაციის ფინანსიური მდგომარეობის გამოსწორება, სახელმწიფოს მხრივ საჭიროა გრძელვადიანი სესხის მიწოდება კოოპერაციის ძირითადი კაპიტალის გაძლიერებლად.

კოოპერაციის წარმომტებისათვის თათბირი საჭიროდ და მიზანშეწონილად აღიარებს კოოპერაციის მიერ საშვალებათა დაგროვებას, რომელიც უნდა ხდებოდეს აპარატის გაუმჯობესების და დანართი ხარჯების შემცირების საშვალებით.

კოოპერაციის ფინანსიური მოღონიერებისათვის საჭიროა აგრეთვე საოპერაციო სამეურნეო დარგში გეგმიანი მუშაობის გაძლიერება, რაც წინ უნდა უძღოდეს კოოპერაციის და სახელმწიფო მრეწველობის ურთიერთობათა ჩამოყალიბება.

რაც შეეხება საბანკო სესხს, თათბირი ბანკის მიერ კოოპერაციაზე სესხის მიცემის პირობებს სთვლის მეტად მძიმედ და ამიტომ სჭიროდ აღიარებს: შემცირდეს სესხზე პროცენტები იმ ანგარიშით, რომ მაქსიმალური წლიური სარგებელი არ აღემატებოდეს 12 პროცენტს. განსაკუთრებით უნდა შემცირდეს სარგებელი მიზნობრივ სესხზე. თათბირი შეუწყნარებლად სთვლის აგრეთვე საბანკო აქციების ძალდატანებით გავრცელებას კოოპერატიულ ორგანიზაციებს შორის.

თათბირი ადგენს, კოოპერაციამ ხელი უნდა აიღოს თავის წევრებისათვის ინდივიდუალური კრედიტის მიცემაზე. მუშა-მოსამსახურეებზე კრედიტის მიცემა შეიძლება საჭიროების შემთხვევაში მხოლოდ ორგანიების პასუხისმგებლობის ქვეშ და მათ ხარჯზე.

კოოპერაციის წარმომადგენლობის საკითხზე თათბირი აღიარებს, რომ ა|კ. კოოპერაციის ცენტრალური ორგანო „კავკასკოოპი“ უნდა გადაკეთდეს ორგანიზაციულ ცენტრად, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს ამიერ-კავკასიის კოოპერაციის ყველა ორგანიზაციის მუშაობას.

კოოპერაციას უნდა შესწყვიტოს კრედიტის გაცემა სხვადასხვა პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და კერძო პირებზე. კოოპერაციამ ხელი უნდა აიღოს აგრეთვე ადგილობრივი მშენებლობის, სახალხო განათლების და ჯანმრთელობის, კულტმუშაობის საჭიროებისათვის თანხების გაცემაზე. მე-14 კონფერენციის დადგენილების თანახმად გაუქმებულ უნდა იქნეს აგრეთვე კოოპერაციის მიერ დანიშნული სტიპენდიები უმაღლეს სასწავლებლებში; უნდა შემცირდეს გამგეობის ჯამაგირიან წევრთა რიცხვი და განმტკიცდეს სხვადასხვა ორგანიზაციების წინააღმდეგ ანგარიშის წარდგენის წესი და სხვა.

მომხმარებელ კოოპერაციის მიერ სამრეწველო საქონლით ვაჭრობის შესახებ

(ა ხ. დიატკინის მოხსენებით)

მომხმარებელ კოოპერაციის მიერ სამრეწველო საქონლით ვაჭრობის შესახებ მიღებულ

თბილისი, 27 იანვარი 1925 წ. № 145 (1300)

კომუნისტი

ს. ს. ს. რ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო-საინფორმაციო სააგენტოს 3

საბჭოთა ქვეყნა პარატის გაჯანსაღება

დუშეთის მაზრის გამოკვლევის შედეგები

(საქ. ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებულ თათბირის მასალებიდან.)

დუშეთის მაზრის თემების კულტურული დონე. — თემების ეკონომიური მდგომარეობა. — საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაჭაკაჟაუფილებელი მუშაობა. — კულტურულ-ლებები. — სათემო საბჭოების სუსტი მუშაობა. — ქველი ადათები და ზნე-ჩვეულებების მუშაობაში.

საქართველოს ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებულ თათბირის მიერ დუშეთის მაზრის გამოსაკვლევად გაგზავნილი იყო ამხ. მ. ლორთქიფანიძე-ლაშხი, რომელმაც გამოიკვლია მუხრანის, ფასანაურის და ყაზბეგის თემები.

მუხრანის თემის სიერცე შეიცავს 224 კვ.ვერს. თემი დასახლებულია ქართველებით, სომხებით და ოსებით. მათ შორის ქართველები შეადგენენ 72 პროც., დანარჩენები კი 28 პროც.

მცხოვრებნი უმთავრესად მისდევენ მიწის დამუშავებას. ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენენ სოფლები: თვით მუხრანი, დამშალა და ჭსოვრისი, სადაც პურიც მოჰყავთ, მაგრამ უმთავრესად მისდევენ შევენახობას.

მთელ თემში წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი უდრის 15 პროცენტს; უნდა ვიგულისხმოთ, რომ ახლო მომავალში ეს რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდება, რადგან თემში დღეს-დღეობით არსებობს 6 სასწავლებელი, რომელთაგან ერთი შვიდწლედია და დანარჩენი კი ოთხწლედი; ამას უნდა დაუმატოთ ორი ქოხ-სამკითხველო და წერა-კითხვის უცოდინართა რამოდენიმე სალიკვიდაციო პუნქტი. ერთი სიტყვით, ამ მხრივ მდგომარეობა კარგია, მხოლოდ ქოხ-სამკითხველოს მდგომარეობა კი ვერ არის სასურველი.

ამას გარდა, თემში არსებობს ერთი საექიმო პუნქტი და ერთი საფერშლო, რომლებიც სავსებით აკმაყოფილებენ თემის მოთხოვნილებებს. აქ არის აგრეთვე ორი კოოპერატივი—წარმოკავშირის განყოფილება და მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება. კოოპერაციას აქვს ნაკლი იმ მხრივ, რომ იგი ვერ აწოდებს გლეხობას ისეთ საქონელს, რომელიც მისთვის საჭიროა.

თემის საბჭო არჩეული იქნა 1 | წ. იანვარში. მისი მუშაობა გამოიხატა იმაში, რომ დღიდან მისი არსებობისა დღემდე მას ჰქონდა მხოლოდ სამი სხდომა, რომლებზედაც გარჩეული იქნა 24 საკითხი. აღსანიშნავია, რომ საბჭო არ იჩენს სამუშაო აქტივობას.

ამას გარდა საბჭოსთან არ არსებობს არც ერთი სექცია, გარდა გზის კომისიისა, რომელიც მოკლე დროით იყო არჩეული.

საბჭოს არა წესრი-გლეხები და გლეხ-ქალები საბჭოს სხდომებს ესწრებიან, მაგრამ ძალიან მცირე რაოდენობით. საბჭო არავითარ ზომებს არ იღებს, რომ თავის მუშაობაში ჩააბას გლეხების ფართო მასები. ადგილობრივი ინტელიგენცია საკმაოთ აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოს მუშაობაში; მართალია, ამას არ აქვს სისტემატიური ხასიათი, მაგრამ გლეხობა მაინც კმაყოფილია.

ინტელიგენტი-წევრებიც მუშაობენ საბჭოში, შედიან კომისიებში, აქეთებენ მოხსენებებს და, საერთოდ, აქტიურობას იჩენენ.

ფასანაურის თემის სიერცე შეადგენს 546 კვ. ვერსს. თემი დასახლებულია მხოლოდ ქართველებით. სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია მეცხვარეობა. მოსახლეობა მისდევს აგრეთვე ხვნა-თესვას, მაგრამ ნაკადავის სიმეჭირის გამო, იქ მოდის მხოლოდ ქერი და კარტოფილი. თემში ფართოთ არის განვითარებული აგრეთვე მეხე ეობა.

წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი აქ ძალიან მცირეა, დაახლოებით იქნება ათი პროც. მთელ თემში არსებობს 2 სასწავლებელი, სადაც სწავლობს 123 ბავშვი. თემში არის აგრეთვე კლუბი (ფასანაურში), ქოხ-სამკითხველო, საექიმო და საბეითო პუნქტი და კოოპერატივი.

თემში მაგრად აქვს გამჯდარი ფესვები ძველ ტრადიციას, ძველ ზნე-ჩვეულებებს და ნათესაურ დამოკიდებულებას; ასე რომ ამ მხრივ რევოლიუციას აქ თითქმის არაფერი შეუცვლია. ყველა ეს არ ატარებს ღრმა სარწმუნოებრივ ხასიათს. ეკლესიების დახურვას გლეხები უკმაყოფით უყურებენ, თუმცა ეკლესიებში მოხუცების გარდა არავინ დადის.

თემის საბჭო არჩეული იქნა 27 იანვარს, დამატებითი არჩევნები მოხდა 8 მარტს. საბჭოს დღემდე არაფერი გაუკეთებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ ერთ სხდომას, რომელიც მას ჰქონია და რომელზედაც გაურჩევია 6 საკითხი. საბჭოსთან არ არის მოწყობილი სექციები არის საგზაო კომისია, რომელსაც ჯერ-ჯერობით არაფერი გაუკეთებია. საბჭოს თავისი არსებობის განმავლობაში არც ერთხელ არ გაუკეთებია მოხსენება არჩევნების წინაშე თავისი მუშაობის შესახებ. ან რა მოხსენება უნდა გაეკეთებია, როცა მას მუშაობა არ უწარმოებია; ხუთი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთი სხდომა ჰქონდა.

გლეხების ფართო მასა არ არის ჩაბმული საბჭოს მუშაობაში, განსაკუთრებით ეს ითქმის გლეხ-ქალებზე, რადგან აქ ქალი მეტად დამონებულია და მისი უფლებები უარესად შეზღუდულია. აქაური ზოგიერთი ოჯახები მოგვაკონებენ პატრიარქალურ ოჯახებს, სადაც უფროსი მოხუცია ოჯახის ხელმძღვანელი, რომელსაც ემორჩილებიან ყველა დანარჩენები.

ყაზბეგის თემის სიერცე შეიცავს 500 კვ. ვერსს. თემი დასახლებულია ქართველებით. მეურნეობის მთავარი დარგია მესაქონლეობა. მიწა ძლიერ ცოტაა და იძლევა მხოლოდ ქერს და კარტოფილს, რომელიც ჰყოფნის გლეხს 2—3 თვე.

მთელ თემში 6 სკოლაა და სამი ქოხ-სამკითხველო. ყაზბეგში არის საექიმო პუნქტი, რომელიც ემსახურება მთელ თემს. არის კიდევ 2 კოოპერატიული სავაჭრო. ადათი, ზნე-ჩვეულება ისეთივეა, როგორც ფასანაურის თემში, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ქალს უფრო ლმობიერათ ეპყრობიან.

საბჭო არჩეულია 26 იანვარს. მართალია, მას დაერქვა სათემო საბჭო, მაგრამ ის მუშაობს ისევ რაიონის მასშტაბით; გამოიცვალა მხოლოდ სახელი, აპარატის სტრუქტურა და მასშტაბი ისევ ძველი დარჩა. გლეხები—არა წევრები საბჭოს სხდომებს ესწრებიან და მონაწილეობას იღებენ საკითხების განხილვაში. ქალები არ არიან ჩაბმული საბჭოს მუშაობაში.

პრესა

— **თბილის-კოჯორის შორის ტრამვაის გზის გასაყვანად შესდგა ხელმძღვანელი კომისია შემდეგი შემადგენლობით:** თავმჯდომარეთ ივანოვ-კავკასიელი, წევრებად: ჭიკნაძე, მიქელაძე, მელიქ-ჩამაევი, ასრიევი, ქურდიანიძე, ძამანაშვილი, აღლაძე და ტერ-ჩატუროვი.

— **საზოგადო სამუშაოები.** თბილისში წარმოებულ სახოგადო სამუშაოებში მუშა-ხელი დღითი დღე იზრდება. თბილისის შრომის ბირჟამ გუშინ დამატებით გაგზავნა სამუშაოდ 80 უმუშევარი; ასე-რომ გუშინ საზოგადო სამუშაოებზე მუშაობდა 515 კაცი.

— **მცხოვრებთა ჯანმრთელობისათვის** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი მაზრებში გზავნის თვალის საექიმო 4 რაზმს.

— **ჯანმრთელობის საქმის გამორკვევის** მიზნით ადგილებზე, ჯანსახკომი ამ ზაფხულში დაათვალიერებს ლეჩხუმის და რაჭის მაზრების სამკურნალო დაწესებულებებს.

— **შინაგან საქ. სახ. კომისარიატის** განმარტებით, იმ შემთხვევაში, თუ სისხლის სამართლის მილიციამ იპოვა დაკარგული ნივთები თვით გაქურდულის მითითებით, მაშინ მნახველს (მილიციის თანამშრომელს) არ ეროგება ჩვეულებრივი წილი პროცენტები.

— **ბოსტნეული.** წარმოკავშირმა გადაწყვიტა მიმდინარე წელს ბათუმის ტერიტორიაზე გაიტანოს კავკასიის ბაზარზე. პირველ რიგში გატანილი იქნება 30 ათასი ფუთი ხახვი.

— **შრომის გაგზავნა.** საველერიანო განყოფილებამ თელა ის მაზრაში საქონლის ჯიშთან საბრძოლველად გაგზავნა 117 ლიტრი შრატი რაც ეყოფა 1700 სულ საქონელს ასაცრელად.

— **მუშების ხელფასი.** ტფ. აღმასკომის ცნობით წუალსადენის გაყვანის მეთხედი იხარჯება მუშების ხელფასში.

— **ლითონის ვინტის დაკვეთა.** ტრამვაის სამმართველომ ლითონის ტრესტს დაუკვეთა 20 ათასი ცალი ლითონის ვინტი ტრამვაის საჭიროებისათვის.

— **ბრძოლა უმუშევრობასთან.** საქ. შრომის სახ. კომისარიატის ცნობით ქუთაისში ამ ჟამად გახსნილია შრომის 9 კოლექტივი, სადაც მუშაობს 114 უმუშევარი.

— **ეკსპედიციები.** ტფილისის ელექტროგურიდან გასული თვის განმავლობაში ტფ. აღმასკომს შემოსულია 81.208 მ. 67 კაპ. დახარჯა 79.024 მან. 31 კაპ.

— **ბიუჯეტის გამოკვლევა.** ტფ. აღმასკომმა დაამთავრა ეკონომ და ყარაიაზის რაიონში გლეხების ბიუჯეტის გამოკვლევა.

— **წყალსადენი განაპირა უბნებში.** ტფ. აღმასკომის გეგმის მიხედვით მიმდინარე წელში ქალაქის განაპირა უბნებში გაიყვანება წყალსადენის ქსელი 10 ვერსის სიგრძეზე.

— **საავტომობილო მიმოსვლა თბილისი-კავკაზი.** საქართველოს საძებნო ბიუროს ცნობით, საქართველოს საავტომობილო გზაზე ქალაქ ტფილისიდან ქ. კავკავამდე ყოველგვარი ავტომობილებით მიმოსვლა თავისუფალია.

— **საზოგადო სამუშაო.** საქ. შრ. სახ. კომისარიატი თ. აღმასკომთან ერთად უკვე შეუდგა ვერის დაქვარითიდან სამხედრო გზამდე გზა-ტკეცილის გაყვანას.

— **ტფილისში** მოწყობილ საზოგადო სამუშაოებში (საბურთალო, ახალშენი, ვახტანგისეული ვერის ხიდიდან) ამ ჟამად მუშაობს დაახლოებით 450 უმუშევარი.

— **ახ. კოოპავშირეთა გაზეთის** იუბილეს გამო თბ. აღმასკომის პრეზიდიუმმა ამ გაზეთის სასარგებლოთ გადასდო 300 მან.

— **ფილოქსერა.** საქ. მიწათმოქმ. სახ. კომისარიატის ცნობით საქართველოს მოსაზღვრე ახალციხის სოფლებში გაჩნდა ფილოქსერარაც პირველი შემთხვევაა, აღნიშნულ სოფლებში ფილოქსერის გაჩენის.

— **ავადმყოფის შეკეთება.** თბ. აღმასკომმა დაადგინა დაუყოვნებლივ შეაკეთოს ქალაქის ავადმყოფი.

— **ახალი რონდები.** ტრამვაის სახელოსნოებში შეუდგენ ახალი მოსამსახურე რონდების კეთებას.

— **თოჯინ. ტრამვაის სამმართველომ** შეძინა 3 ათასი ფუთი თუჯი და 26 რონდა კოკი ტრამვაისათვის საჭირო თუჯის ჩამოსასხმელად.

— **ქ. სასაკლაოდან** მაისის განმავლობაში თბ. აღმასკომს შემოუვიდა 48,405 მან.

— **უპატრონო სახლები.** თბ. აღმასკომის საბინაო კოოპერაციის ქვეგანყოფილებამ სასამართლოში აღძრა საქმე 52 სახლის უპატრონოთ ცნობის შესახებ.

— **დახმარება უმუშევრებს.** უმუშევართა დამზღვევი განყოფილება 27 ივნისს გასცემს ივნისის თვის დახმარებას, იმ უმუშევრებზე რომლებსაც აქვთ წიგნაკი № 3001-დან 5100-მდე.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში, წერილში სათაურით—**სტიპენდიების და ადგილების განაწილება მუშაკებზე და უპირველეს საყვავულებში**—ზოგიერთ მაზრებისადმი დათმობილ ადგილების რიცხვიდან არაა აღნიშნული, იმ თანამშრომლებზე რომლებიც ერთი მეორეს იქაში სროლის ხმა კიდევ მოისმა იმ დროს, როცა ერთი კაცი (რომელიც შემდეგ ერგემლიძე აღმოჩნდა) მარბოდა მილიციონერის მოსაყვანადო. მოწმე თაქთაქიშვილებიც ადასტურებენ ამ ვერსიას.

სხვა მხრივ იყო წესი ნარწერია ქალბატონი გძელიშვილი მას ძლიერ უყვარს „ქალბატონობით“ მიმართვა, უხეშათ ეპყრობა და ისესხებს ზოგიერთ პატრიოსან და მოწინავე მასწავლებელთან დაკომისა და მოწყვეთა კოლექტივის არსებობას ვერ ინელებს ეს გათავხედებული ქალბატონი.

ინფ. **გამკვლელი.**

მუშათა ცხოვრება

დაპატიმრებულთ აუტანელ სიბინძურეში.

(მთავარ მილიციის საყურადღებოთ).

სურენ-ნიშანის ქუჩა, სახლის № 4 ის პატრონი არის ტერ-ოსკაროვი, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ფეხისალაგებს. ფეხისალაგები დანგრეულია. სახლში თაგვები ძალიან გამოთავლდენ და აუტანელ მდგომარეობაში ვართ მდგმურები. ჯერ უსუფთაობა და მერე თაგვების შიში მოსვენებას არ გვაძლევს. მიიღეთ ზომები და მოიყვანეთ ქუჩაზე სახლის პატრონი.

მუშკორი სალუქვაძე.

როდის მოელება გოლო ამ თავხედობას?!

(ქ. აღმასკომის ადმინიშტ. განყოფილების საყურადღებოთ).

ბევრჯერ დაწერილა გაზეთებში ბათუმის ქ. № 26 სახლის პატრონის მაისურიანცის კარნახით მისი დების მხრიდან ეზოში მოწყობილ ჩხუბებზე და აყალ-მაყალზე, იმ განზრახ-მოსაზრებით, ორომ კავშირის წევრები სახლიდან გაიძევონ და შემდეგ ოთახები გაათავისუფლონ კერძო პირებზე, რაზედაც ალავე ეზოს მდგმურები—ათი ოჯახი თანაცხოვრებენ მათ ალაგვას, მაგრამ დღემდის კიდევ არაფერისთ ფარუშობა.

დროა მოაშოროთ ჩვენ ეზოს (მუშათა კუთხეს) ამგვარი მავნე პირები.

კავშირის წევრი მდგმური—

გორიშვილი.

ალაგმეთ ასეთი ქალბატონი

(ქალ. ხონის აღმასკ. საყურადღებოდ).

ქალ. ხონის 7 ვერსის მანძილზე მდებარე სოფ. ახალ-ბოცეულში მცხოვრები ქალბატონი ლორთქიფანიძის ქვრივი ხინო (მამფორიას ასული) მეტად უხეშად და უგუნურად ექცევა თავის მოსამსახურე ობოლ ბავშვს. ზათბარ-ზაფხულ ფეხშიშველი არბენინებს და სულ ცემა-ტყეპით და ლანძღვა-გინებით იკლებს.

საჭიროა ჩაგონოთ ამ ქალბატონს, რომ ძველი რეჟიმი აღარ არის.

მუშკორი **ალბუღა.**

ალაგმეთ უსაქმო ვაჟბატონი

(მილიციის უფროსიის საყურადღებოდ)

მე-10 სამილიციო რაიონის სამმართველოს შენობაში სცხოვრობს ვინმე **პავლუშკა რაგოზინი,** რომელიც სულ რაიონის სამმართველოში ზის (უსაქმოდ) და მათ საქმეზე ეწევა, ხშირად თანამშრომლებს ბრძანებითაც მიმართავს.

საჭიროა ამხ. შონიამ ამას ყურადღება მიაქციოს.

მუშკორი **დოლა.**

მოგვაშორეთ გათავხედებული „ქალბატონი“

(განათლების განყოფილების და პროფკავშირის საყურადღებოდ)

არა ერთხელ ყოფილა ქართულ გაზეთების ფურცლებზე აღნიშნული მე-19-ე შრომის სკოლის გამგის „ხანქმენი საგმირონი“; არა ერთხელ ყოფილა გამოტანილი დღის სინათლეზე მისი „მოღვაწეობა“, მაგრამ რაღაც მახინაციებით დღესაც არხეინად გრძნობს თავს ეს ქალბატონი და კვლავ განაგრძობს თავის „საქმიანობას“: განუსაზღვრელ ბრძანებლად აცხადებს თავს მე-19-ე შრომის სკოლაში. ალბათ დაჩვეული ქალბატონობას ვერ ინელებს დღევანდელ სინამდვილეს. ის ხომ ძველ ტრადიციებზე აღზრდილი ტიპია და საკმაოდ ხანში შესული. ის სასტიკი წინააღმდეგია ანტირელიგიური პროპაგანდის წარმოებისა სკოლებში, იქნება ეს პროპაგანდა წარმოებული სათანადო ფორმით თუ დადგმით თუ სხვა რამ საშუალებით. ქალბატონი გძელიშვილი უაღრესად მოსიყვარულეა სულიერი მამების და მათი დიდი ხათრიც აქვს. ამას წინად ახალგაზრდა მასწავლებელს უნდოდა ასეთი ცოცხალი სურათი მოეწყოთ. ქვეშ დაწვენილი ნიკოლოზი და სულიერი მამები, ზემოდ კი გამარჯვებული მუშები წითელი დროშითა და ჩაქუჩ-ნამგლებით ხელში, როგორც სიმბოლო მშრომელთა განთავისუფლებისა. არ მოეწონა ეს სურათი ქალბატონ **გძელიშვილს.**

სხვა მხრივაც შესანიშნავია ქალბატონი გძელიშვილი მას ძალიან უყვარს „ქალბატონობით“ მიმართვა, უხეშათ ეპყრობა და ისესხებს ზოგიერთ პატრიოსან და მოწინავე მასწავლებელთან დაკომისა და მოწყვეთა კოლექტივის არსებობას ვერ ინელებს ეს გათავხედებული ქალბატონი.

ინფ. **გამკვლელი.**

მუშათა ხარისხი მისწანს აღფენს.

ამ ჟურნალსაც გავანათებთ.

„კომუნისტი“-ს მე-26 ნომერში სათაურით: „მიხედეთ ამ ქუჩასაც“ მოთავსებული წერილის შესახებ აღმასკომის კომუნალურ განყოფილების გამგემ გვაცნობა, რომ სურბ-კარაპეტის ქუჩის შეკეთების საჭიროების გამოსარკვევად და სათანადო ზომების მისაღებად დანიშნულია კომისია; ხოლო **ამ ქუჩის განათების ხარჯები შეტანილ იქნება** მომავალი საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვაში.

საქმიკურსიო ბილეთების განაწილება საქართველოს მაზრებზე

ამ დღეებში პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა სამაზრო პროფბეჭდვრების და კავშირების ცენტრალური კომბეთა პასუხისმგებელ მდივნების თათბირი.

დღის წესრიგში დასმული იყო 3 საკითხი და მათ შორის საექსკურსიო ბილეთების მაზრებზე განაწილების საკითხი. მოხსენება საექსკურსიო მოგზაურობის შესახებ გააკეთა პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მდივანმა **ამხ. ჭელიძემ,** რომელმაც თათბირის წევრებს აცნობა, რომ მიმდინარე ზაფხულზე მთელს საქართველოში ეწყობა ექსკურსიები კავშირის წევრ მუშა-მოსამსახურეებისაგან.

წინასწარი საექსკურსიო მზადება უკვე დამთავრებულია. საქართველოს თითქმის ყველა ადგილებში უკვე მოწყობილია საექსკურსიო პუნქტები. (ბათომში, ბორჯომში, საქართველოს სანხედრო გზაზე და სხვა). ამგვარად საქართველოს პროფსაბჭო შეთანხმებულია ამერბეიჯანის პროფსაბჭოსთან, რომ როგორც ამერბეიჯანელ ექსკურსანტებს ჩვენში, ისე ჩვენებურ ექსკურსანტებს ამერბეიჯანში, განსაკუთრებით ბაქოში, გაუწიონ დახმარება ბინის და საჭმლისიერო ძალების მოწოდების მხრივ.

ამასთან ერთად საქართველოს პროფსაბჭოს მიერ აღძრულ ბუმბერძნულ-ოსეთის ერკინის გზათა სამმართველომ ა. კ. რკინის გზაზე ექსკურსანტებს მთელი ზაფხულის განმავლობაში ნახევარ ფასად დაუთმო 3 ათასი ბილეთი, რომელიც უნდა განაწილდეს თბილისს და მაზრებს შორის. მომხსენებელმა თათბირს წარუდგინა განაწილების პროექტი,

თათბირმა მცირე ცვლილებით დაამტკიცა კოოპერაციული განაწილების გეგმა, რომლის მიხედვით ბორჩალოს მაზრას ხვდა—20 ბილეთი, სიღნაღის მაზრას—25, დუშეთის—20, გორის—60, სამხრეთ-ოსეთის—20, ქიაურის—70, ბორჯომს—50, ახალციხის მაზრას—20, ქუთაისს და მის მაზრას—125, რაჭას—20. ლეჩხუმს—20, ზუგდიდს—20, ოზურგეთის—30, აჭარისტანს ბათომთურთ—200, ფოთს—50, სოხუმს—40, ტყიბულს—30, სენაკის მაზრას 30. დანარჩენი ბილეთები განაწილებული იქნა თბილისში მყოფ სხვადასხვა კავშირის წევრებზე.

რკინის გზის სამმართველო ამ 3 ათასს ბილეთის გარდა დაპირებულია კიდევ 2 ათას ბილეთს, რომელიც განაწილდება იმის მიხედვით, თუ რომელი მაზრა როგორი წარმატებით ჩაატარებს ექსკურსიას.

საბჭოთა სასამართლო

ერგემლიძის საქმე

სასამართლომ დაასრულა მოწმეების დაკითხვა. მოწმეების დიდი უმრავლესობა ადასტურებს ბრალდებულ ერგემლიძის ჩვენებას.

მოწმე ნაროზაშვილი ამბობს, რომ როცა მან რევოლვერის გასროლა აიგონა, დაინახა ერთი კაცი, რომელიც გაიქცა მილიციონერისაკენ და მიაძახა: „კაცი მოჰკუდესო“.

მოწმე მახათაძე ამბობს, რომ მან ელექტრონის სინათლეში დაინახა ერთი ქალი, რომელიც ეხვეწებოდა ერთ მაღალ ტანის კაცს თავი დაენებებია ზალიშვილისათვის. მახათაძე და ნაროზაშვილის ჩვენება ეთანხმება ერთი მეორეს იქაში რომ სროლის ხმა კიდევ მოისმა იმ დროს, როცა ერთი კაცი (რომელიც შემდეგ ერგემლიძე აღმოჩნდა) მარბოდა მილიციონერის მოსაყვანადო. მოწმე თაქთაქიშვილებიც ადასტურებენ ამ ვერსიას.

მოწმეების დაკითხვის დასრულების თანახმად წაკითხულ იქნა იმ მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც არ გამოცხადებულან სასამართლოში.

სასამართლომ დაადგინა მკვლელობის ადგილის დათვალიერება და ტყვიის მიმართულების გამორკვევა მოსახდინოს სასამართლო პროფესორ მუხაძის მონაწილეობით.

მორიგი სხდომა გაიხსნება დღეს დილის 10 საათზე.

ხელოვნება

— **„პრომლემფაი“ პრომვინციაში.** 28 მაისს, 27 ივნისს ქ. ახალსენაკში „პრომლემფაი“-ს კოლექტივი (პროლეტარულ მწერლობის ახალი ფრონტი) გამართავს საღამოს შემდეგი პროგრამით: სიტყვა, პოეზია და პროზა.

კვირას, 28 ივნისს ქ. ბათომში „პრომლემფაი“-ს კოლექტივი გამართავს საღამოს: სიტყვა, პოეზია და პროზა.

— **„წითელი არმიისა და ფლოტის ბალი“.** ლენინის ოთახში—დრამწრის წევრების კრება, ბაღში კინო-სურათი.

— **სალაროს გადადება.** თბილისის ს. ტელმწერიო უნივერსიტეტის სტუდენტობის სასარგებლოდ 27 ივნისისათვის განზრახული სალამო გადაიდო.

— **მუსიკალური კომედიის თეატრი.** დღეს „ბაიადერკა“.

— **დისპუტი.** კვირას, 28 ივნისს, სახელმწიფო ოპერის დარბაზში ამხ. ხანოიანის თავმჯდომარეობით გაიმართება საჯაო დისპუტი თემაზე: „პროლეტარული რევოლიუცია და ხელოვნება“. მომხსენებელი იქნება ამხ. ილ. ვარდინ-მგელაძე, კონტრმოხსენებელი ს. დევდარიანი. კამათში მოიპაწილეობენ: გრიგოლ რობაქიძე, პროფ. შ. ნუცუბიძე, შ. ქავეხიშვილი, ი. გვ. ვანიშვილი, შ. ღუდუჩავა, ელსნერი, სუტირინი, ს. ალელოშვილი, ს. ეული და სხვა.

— **ს. შანშიაშვილის** დასწერა ახალი სამ მოქმედებიანი დრამა გლეხთა ცხოვრებიდან „ზურაბ თუგაური“.

„კომუნისტის“ წინასწარი ხელმოწერა

იღებება და კვირის ნომერთან ერთად ცალკე ნომრებიც

დაურიგდება

უფასო დამატება

„მეცნიერება და ტექნიკა“ № 12

შინაარსი: დაუნდობელი ბრძოლა კოხის ბაცილებს (ქლექის სამ დღიურის გამო)—ა. ჯ. ექიმი ალ. ჭეიშვილი—რა არის ქლექი; ირ. ბენაშვილი—დროის გაზომვის თანამედროვე მეთოდები; ვ. ლებედევი—სურათების გადაცემა ტელეგრაფით; რატომ გვძინავს ჩვენ; როგორ გაჩნდა ადამიანი; ელექტრონის ცხენი; ფუტბლერის გამოგონება ავიაციაში; კამელ ფლამარიონი; პოლიეზიის საოცრებანი; სარგაზის ზღვის საიდუმლო; მეცნიერება და ტეხნიკის ქრონიკა: რადიო ქრონიკა.

ცალკე ნომერი ღირს 20 კაპ.

ორშაბათს, 30 | წ. 29 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის აღმასკომის დარბაზში მოწვეულია

თბილისის აღმასკომის კლენუმის სხდომა

დღის წესრიგი:

1. კოჯორის რკინის გზის შესახებ;
2. ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურის წინა ნაწილთან—ამხ. ვ. ი. ლენინის ძეგლის აგების შესახებ;
3. მიმდინარე საკითხები:

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა აღნიშნულ დროზე. 2—1

პროვინციაში

აქედანვე შეუდგეთ სამზადისს

(წერილი ბორჯომიდან)

ბორჯომის რაიონის მასწავლებლებმა გასულ სამოსწავლო წელი განმავლობაში აწარმოებდა ენერგიულ მეცადინეობას, მაგრამ მათი მუშაობის ნაყოფიერებას საგრძნობლად აფერხებდა ის გარემოება, რომ ისინი მოკლებული იყვნენ მთელი წლის განმავლობაში არა თუ შესაფერ ლიტერატურის გაცნობას, არამედ მათთვის ძვირიათი შეძენხვეა იყო გაზეთის შეძენაც კი, რაც მასწავლებლისთვის სოფლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს.

ბევრ მათგანს სკოლის ახალი პროგრამებიც არ უნახავს თვალით, რადგან ასეთების შეძენა შ. უძლებელი იყო.

სკოლების წინამსვლელობის დამპრკოლებელი მიზეზია აგრეთვე წიგნების უქონლობა და მოწყობა: **ზოგ სკოლაში დფის მაგივრად ხმარობენ თეთრ ფიცარს, რომელზედაც სწერენ ნაბეჭდით.** ეს დაუდევრობაა. სოფლის სკოლების ბინის და მოწყობილობის შეძენის საკითხი უნდა იქნეს მოგვარებული უმთავრესად ადგილობრივი საშუალებით, რისთვისაც საჭიროა მასწავლებლის მიერ მასში—გულხა ობის დაახლოება სკოლასთან, დაინტერესება მის მიმართ, შეიქმნა და ამოძრავება სკოლის მზრუნველ კომისიების, შეიქიროა კავშირის დაქერა გლეხკომებთან, აღმასკომებთან და საჭიროა კომისიებთან, რომლებიც ამჟამად სოფლის სკოლებს საკმაოდ მოეპოვებათ. სადაც ამგვარი მუშაობის წარმოება შესძლო მასწავლებელმა, იქ სკოლის საქმე შედარებით უკეთესად იყო დაყენებული. მაგალითად: სოფ. დაბამი ადგილობრივ საშუალებით იქნა აშენებული სკოლის შენობა ორი ოთახით და მოწყობილობით, საკმაოდ იქნა შეკეთებული ს. ცემის სკოლა და სხვა.

აუცილებელი საჭიროა მომავალ სამოსწავლო წლის დროზე დაწყებისათვის ეხლავე შეუდგეთ სკოლის მოწყობის საქმეს.

შ. გუგუჯაშვილი.

ექიმგაში ლიდა გამყრელიძე

(შორაპნის მაზრის აღმასკომის საყურადღებოდ)

დასავლეთ საქართველოში სხვა კუთხეებთან შედარებით კულტურული ზემო იმერეთი ყოველთვის ჩამორჩენილი იყო.

აქ მუდამ დიდი ასპარეზი ეძლებოდა ექიმმაშების მოქმედებას, ცრუმორწმუნეობას და სხვას.

საბჭოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებული ზომები მიიღო ასეთი მდგომარეობის მოსასპობად, მაგრამ როგორც ეტყობა ზემო იმერეთი ამ მხრივ განმაკლისს შეადგენს.

იქ თავისუფლად არიან მოკალათებული სხვადასხვა ჯურის ექიმბაშები და გალესილი ნაბიჭვრით თუ ნაცრით „არჩენენ“ ყოველგვარ სნეულებებს.

ერთი ასეთი ექიმბაშთაგანი გახლავთ დაბა საჩხერეში მოქალაქე ლიდა გამყრელიძის ქალი, რომლის კარებზედაც ყოველდღე არიან ატუზული საჩხერის რაიონის გლეხკაცობა, რომ პატივცემული „ექიმი“ იხილონ და წამალი გაჰმართვინ. ლიდა გამყრელიძე ძველი აზნაურის ცოლი გახლავთ, მისი ქმარი წინათ აქაური გლეხების სისხლით ძღებოდა, მაგრამ რადგანაც ოფიციალური არსებობის წყარო დიდი ხანია მოესპო, ეხლა „ექიმობას“ მიმართა.

ძალიანი კარგი „ხელობა“ არის, რადგანაც ზემო იმერეთში დიდძალი მუშტარი მოიძებნება და ამკრძალავც არავინ არის და არის აქაური მილიციის უყრია რ, რაკილმასკომი ან სხვა. როდის აიცილება ბოლო გამყრელიძის და ძმათა მათა თავგასულობას. შორაპნის მაზრის აღმასკომო და სამკურნალო პუნქტო თქვენ მაინც სადა ხართ?

ბოროტი ენები გაღმოგვცემენ რომ „ლიდა გამყრელიძეს შორაპნის მაზრის და მასკომში ვიღაც დიდი კაცი ჰყავს დამხმარე—მისი იმედით ეწევა ექიმბაშობას და მისიც დახმარებით სრულიად უკანონოთ და ბრუნა უკანე შეიდი წლის გაყიდული სახლიო“.

თუ ეს ასეა, სად არის პროკურორი?

კმარა რაც ითარეშეს ამ მხრის თავად აზნაურობამ, ეხლა მაინც მოეღოს ბოლო.

ველით პასუხს.

ზემო იმერელი.

პროვინციის ქრონიკა

— **სამავშვო სახლები.** დუშეთში ამჟამად დაჩქარებით სწარმოებს ყოფ. ყაზარმების შეკეთება, რომლებშიც მოთავსებულნი იქნებიან თბ. სამავშვო სახლებიდან გადმოყვანილი ბავშვები ზაფხულის განმავლობაში.

— **ბაზრობა თელავში.** თელავის მაზრის აღგილობრ. მეურნეობის განყოფილებამ გადასწყვიტა, ყოფილ კოლდეიმეშვილის ეზოში, თელავში მოაწყოს საკერაო ბაზრობა.

— **აგარაკი სვანეთში.** სვანეთის და ლეჩხუმის აღმასკომები შეუდგენ სოფ. ლაშხეთის აგარაკ „მუაშის“ კეთილმოწყობას, გაჰყვანენ ახალი გზები და აგებენ შენობებს.

— **აღმასკომის შენობის შეკეთება.** ძველი ონის (რაჭა) თემაღმასკომის შენობის შეკაკეთებლად სამაზრო აღმასკომმა უფასოდ გასცა ტყის მასალა.

— **ფოსტის შენობების შეკეთება.** სოფ. წესისა და სადმელის აღმასკომებმა დაადგინეს საკუთარი ღონისძიებებით შეაკეთონ ადგილობრივი ფოსტა-ტელეგრაფის შენობები.

— **მოძრავი პოლიკლინიკები.** ლეჩხუმში არსებობა პოლიტგანათლების მთავარ სამართველოს მიერ მოძრავი პოლიტპუნქტები.

ფოსტა

ამხ. ლევან ენუქიძეს. შემოიარეთ რედაქციაში.

სიღნაღი ამხ. ავთა-ზახთან. ცნობები თქვენი წერილიდან, რომელიც ჩვენ თავის დროზე გადავეცით შინაგან საქმეთა კომისარიატს საქმის გამოსარკვევად, სრულიათ გამართლდა. ყველაზე დატუსაღებულია და მისი საქმე გაირჩევა საჯაროდ ადგილობრივ ახლო მომავალში.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გაზეთ „კომუნისტში“ მოათავსოთ შემდეგი:

ამ უკანასკნელ დროს როგორც ჩვენს, ისე რკინის გზის სამმართველოს სხვა ხელმძღვანელ პირების სახელზე მოდის დიდძალი უსახელო წერილები.

საქმის სასარგებლოდ საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ უსახელო წერილებს არავითარი ყურადღება არ ექცევა; ამასთან ვინც დავსძინო, რომ მე სრულ გარანტიას ვაძლევ თითეულს, ვისაც სურს განცხადების შემოტანა ბოროტმოქმედების და უსამართლობის შესახებ, რომ ის დაცული იქნება ყოველგვარ უკანონო თავდასხმებისაგან და საქმე გამოძიებული იქნება მიუდგომლად.

გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებული და ა | კ. რკინის გზათა სამმართველოს თავმჯდომარე:

ივანოვი

№ 4 ,ՀՀ ՀՀ ՀՀ ,ՀՀ ՀՀ ՀՀ ,ՀՀ ՀՀ ՀՀ